





 საქართველოს
 სახელმწიფო ბიბლიოთეკა
 თბილისი


F-221
 1932




№
 14-15

საბჭოთა კავშირში


იზრდება ინდუსტრიის გიგანტები, მოსკოვილია უმუ-
შევრობა, — საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების გა-
ზაზე შექმნილია მსხვილი მექანიზირებული სასოფლო-სა-
მეურნეო წარმოება. — ყოველდღიურად უმჯობესდება
მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების უმჯობესება
მასები, დარაჯმული კომუნისტური პარტიისა და მის ლე-
ნიუსი ცეკას გარშემო, ენთუზიუზით აუზენაურ სოცია-
ლიზმს.




მუშათა ახალი დასახელებელი
სახლი მახინჯაურში




რ ი ო ნ ვ ე ს ი
ტურბინის მონტაჟი საგენერატორო
სადგურში.



ბაქო. შავი ქალაქი. კრეკინგ-ქარხანა.






ქართული
ენობრივი



ვ. ი. ლენინი



საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი ზეიმობს დიდი ოქტომბრის 15 წლის თავს, 15 წელს იმ დიადი ბრძოლისა, რომელსაც იგი კოლუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აწარმოებდა დაწყებული ოქტომბრის დღემდე — ძალაუფლებისათვის ბრძოლის დღემდე, როცა ჩვენ ავაგეთ სოციალისტური ეკონომიკის საძირკველი.

ჩვენი მტრები, დაწყებული ესერ-მენშევიკებით, და გათავისუფლებული კადეტებით, ოქტომბრის აჯანყების გამარჯვების შემდეგ წინასწარმეტყველებდნენ, საბჭოთა ხელი-სუფლებას მხოლოდ რამდენიმე დღის არსებობა უწერია. დღეები — კვირებამდე გადაიქცა, კვირები — თვეებად, თვეები — წლებად, წლები — ათეული წლებად. ახლა უკვე მათ არ ხჯეროდან, რომ საბჭ. ხელი-სუფლებამ თავისით დაეშობა და ათასგვარი პროვოკაციებით სცდილობენ მოაწყონ თავდასხმა საბჭოთა კავშირზე.

განვითარების 15 წელი, რომელიც ჩვენმა სოციალისტურმა სამშობლომ განვლო, ყველაზე მოწინავე ქვეყნების განვითარების ტემპებიც რომ ავიღოთ საზომად, მაშინაც კი ასეულ წელიწადს უდრის.

ჩვენი აშკარა მტრებიც კი იძულებული არიან აღიარონ, რომ საბჭოთა კავშირის ცნობა შეუძლებელია, იმდენად შეიცვალა მისი სახე. იქ, სადაც წინად უდაბხო, გაშვალნი ტყეები, ჭაობები ან გაძვალტყავებულ სოფლები იყო, აშენდა და შენდება ინდუსტრიის გიგანტები, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური სახე სრულიად შეიცვალა.

რადაც 11 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ საშუალება მოგვეცა როგორც საჭიროა, ისე მოვეციდებოთ ხელი სამეურნეო ამოცანების გადაჭრისათვის. თითქმის ხუთი წელი მოუხდა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის შედეგად სრულიად გაპარტახებული მრეწველობის, ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის ფესვზე წამოყენებას და უკვე 1926—27 წელს სამრეწველო პროდუქციის დარგში გადავაჭარბეთ ომის წინდროინდელ დონეს.

აღდგენითი პერიოდიდან ჩვენ გადავდებით სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდში.

მე-14 პარტიული წლები მტკიცე კურსი აიღო ინდუსტრიალიზაციაზე, ჩვენი აგრარული ქვეყნის გადაქცევაზე მოწინავე ინდუსტრიალურ აგრარულ ქვეყნად. 1928 წლის შედეგილი ხუთწლიანი გეგმა წარმოადგენს ინდუსტრიალიზაციაზე ადებული კურსის განსახიერებას. ჩვენ ამ პირობად ხუთწლებს ვამთავრებთ ოთხ წელში, სოციალისტური ეკონომიკის საძირკველი აგებულია, შექმნილია მძლავრი ტექნიკური ბაზა მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის.

პარტიის მე-11 ყრილობაზე **ლენინი** აპრობდა: „უკანასკნელი და გადაწყვეტი ბრძოლა არა საერთაშორისო კაპიტალიზმთან, — იქ კიდევ ბევრი იქნება უკანასკნელი და გადაწყვეტი ბრძოლა, — არა, არამედ აი, რუსეთის კაპიტალიზმთან, იმასთან, რომელიც იზრდება წვრილ გლეხურ მეურნეობიდან, იმასთან, რომელსაც იგი ზურგს უმაკრებს. აი, აქ მოგვლის უახლოეს მომავალში ბრძოლა, რომლის გადასწორით შეუძლებელია განისაზღვროს“.

„ეს უკანასკნ. და გადაწყვეტი ბრძოლა“ დაიწყო, როცა „პარტიამ ამა. **სტალინის** ხელმძღვანელობით წამოაყენა ლოზუნგი კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდა-



(ქანდაკება კოროლენის ლენინი

ციისა მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე“. ეს ბრძოლა უკვე ჩვენი გამარჯვებით დასრულდა ხორბლეულის გადამწვეტ რაიონებში. საბჭოთა ქვეყანა გადაიქცა მსოფლიოში ყველაზე მსხვილი მიწად მოქმედების ქვეყნად. კულაკობის ნაშთების ლიკვიდაციის შემდეგ მეორე ხუთწლიანი ძირითად ამოცანად ისახება საერთოდ კაპიტალისტური ელემენტების და კლასების ლიკვიდაცია.

სოციალიზმმა მოიპოვა მტკიცე, ურყვევი პოზიციები ქალაქად და სოფლად. მაგნიტოსტროის, კუზნეცსტროის, დნეპრსის და სხვა მრავალი გიგანტების ქვეყანა არავის შისცემს უფლებას უკან დააბრუნოს ისტორიის ჩარხი.

ძვენი ეს უდიდესი წარმატებები კიდევ უფრო განაღვივებდა იმ უსაზინელესი კრიზისის ფონზე, რომელსაც განიცდის კაპიტალისტური სამყარო და რომლიდანაც იგი ამაოთ ეძებს გამოსავალს. იქ, კაპიტალისტურ ქვეყნებში ათეული მილიონი მუშები და სპეციალისტები ქუჩაში უმუშევრად დაეხეტებიან, მათთან ერთად შიმშილობის გაშო საიკვდილოთ არიან განწირულნი ასეული მილიონები — უმუშევართა დემამა, ცოლშვილი, დედი და ძმები, მიერ რიგი გიგანტ საწარმოების რაიონები სასაფლაოებს დამხვავებია, კაპიტალისტები ანგრევენ ქარხნებს, რომ მიწის გადასაზადი არ გადაიხადონ, ათეულათასტონიანი გეშები უძრავად დგანან ნავთსადგურებში, ყველას იპყრობს უიმედობა და სასოწარკვეთილება. ჩვენში კი, სოციალიზმის მშენებელ ქვეყანაში, მოსპობილია უმუშევრობა, აშენებულია და შენდება ინდუსტრიის გიგანტები, ყოველდღიურად უმჯობესდება მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობები, გიგანტური შესაძლებლობანი შეიქმნა ტექნიკისა და მეცნიერების განვითარებისათვის ბოლშევიკური იერიში მიგვაქვს კულტურ-

ობაზე, ენტუზიაზმით ესტუმდით ახალ ცხოვრებას, იმედით და ღრმა რწმენით შევყურებთ მომავალს.

ჩვენი მტრების მიერ, საბჭოთა ხელი-სუფლების გადაგვარებაზე დაწყებული იმედების გატრუებასთან ერთად ცხოვრებამ სასტიკად დასცინა მებარჯვებენ — „მეზარცხენე“ ოპორტუნისტებს, რომლებიც სათანადოდ ვერ აფასებდნენ მუშათა კლასის შემოქმედებითი ძალეებს და მოითხოვდნენ „ტემპების“ შენელებას, „სიფრთხილეს“ და სხვ. პარტიამ განმანადგურებელი პასუხი გასცა ყველა ჯურის ოპორტუნისტებს, სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე მოპოებული უდიდესი გამარჯვებები წარმოადგინენ პარტიის იმ გენერალური ხაზის ბრწყინვალე გამართლებას, რომელსაც ჩვენი ლენინური ცეკა ატარებს ამა. **სტალინის** მეთაურობით.

მეგრამ ბრძოლა არ გათავებულა. წინ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი, მრავალი ნაკლი გვაქვს აღმოვაფხვრელი მუშაობაში, აღმოვაფხვრა ამ ნაკლოვანებების, რომლებიც აღნუსხულია ცეკას სექტემბრის პლენუმის რეზოლუციებში, ამა. სტალინის მეთაურობით ნამდვილად გატრუება, მასხების მობილიზაცია სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის — ყველაფერი ეს მძლავრი ბერკეტი იქნება შემდგომი წარმატებისათვის სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე დასმული ამოცანების წარმატებით გადაჭრა — ქვეყნის შემდგომი ინდუსტრიალიზაციის განხორციელება, სოციალისტური სოფლის მეურნეობის განმტკიცება წარმოადგენს ამავე დროს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის ქვეყუთხედს.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცება საბჭოთა კავშირის მშრომელთა ზრუნვის ცენტრში უნდა იქნეს ყველაფერი, ვინაიდან, რამდენად უფრო მძლავრ სასიათის იღებს ეკონომიური კრახისი კაპიტალისტურ სამყაროში, იმდენად მეტის დაყინებით იძენენ იმპერიალისტური ყაჩაღები გამოსავალს ახალ იმპერიალისტურ ომში და ანტი-საბოჭთა ინტერვენციისში.

საბჭოთა ქვეყნის მშრომელები ფხიზლად აღდგენენ თვალს ჩვენი მტრების ყველა მახინკრებს და მზად არიან დაიცვენ სოციალიზმის ციხე-სიმაგრე.

ოქტომბრის მეთექვსმეტე წელს ჩვენ ვხვდებით უდიდესი გამარჯვებით რომლებიც მოპოებული გვაქვს ლენინის პარტიის და ლენინის საუკეთესო მოწაფის და მისი საქმის ურყვე გამგრძელებელის ამა. **სტალინის** ხელმძღვანელობით. პარტიისა და მისი ლენინური ცეკას გარშემო მჭიდროდ დარაზმვის საშუალებით ჩვენ მომავალში კიდევ უფრო დიდ გამარჯვებებს მოვიპოვებთ.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის 15 წლის თავს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს — სოციალიზმის ციხე-სიმაგრეს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, — ოქტომბრის დიდი გამარჯვების და სოციალიზმის მშენებლობის ორგანიზატორს!

გაუმარჯოს ამა. **სტალინს** — სოციალიზმისათვის უდრეკ მებრძოლს, საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს!

გაუმარჯოს მთავლი ოქტომბერს!

გაუმარჯოს წითელ არმიას — ოქტომბრის მონაპოვართა და სოციალისტური მშენებლობის ფხიველ გუშაგს!

... რქტომბრის რევოლუციის არა მარტო რევოლუციის
ეკონომიურ და სოციალურ-პოლიტიკურ უტიმტობის
დარბი. იგი ამასთანავე არის რევოლუციის გონებაში, რევოლუ-
ციის მუხათა ქლასის იდეოლოგიაში. რქტომბრის რევოლუციის
იზა და განმტკიცდა მარქსიზმის დროის ქვეშ, კროლუტის
დიტატურის იდეის დროის ქვეშ, ლენინიზმის დროის ქვეშ
მელიც არის იმპერიალიზმისა და კროლუტარული რევოლუციის
ეკონომიურ მარქსიზმი. ამიტომ იგი მოასწავებს მარქსიზმის გამარ-
ჯვებას რევოლუციის, ლენინიზმის გამარჯვებას სოციალ-დემოკ-
რატის, მესამე ინტერნაციონალის გამარჯვებას მორე ინტერ-
ნაციონალურად.

ი. სტალინი



ამხ. ი. სტალინი



ოქტომბრის წინა დღეებში

„ბოლშევიკებმა უნდა აიღონ ძალაუფლება“—სწორად ლენინი ოქტომბრის წინა დღეებში იმ დროს, როცა ესერ-მენ-შევიკებმა თავისუფლად ამოისუნთქეს.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელო-ბით რევოლუციონური მასები ემზადებო- დნენ ძალაუფლების დასაპყრობად.

პეტროგრადის საბჭო იმ დღეებში, როცა ბოლშევიკებმა უპირველესობა მოიპოვეს, გადაქცეა აჯანყების ფაქტურა ცენტრად.

პარტიის ცენტრამ 23 ოქტომბრის სხდომაზე გააძევა აჯანყების ბოლიშევიკური ცენტრი. 29 ოქტომბერს კი—საოგანოხდაცოლა.

პეტროგრადის საბჭოს მინერალური სასწრაფო-რევოლუციონური კომიტეტი ენერგიულად ემზადებოდა აჯანყებისათვის. მათგანობა, რომელიც ნათლად ხედვო-და, რომ რევოლუციონური ზღვა ეს ეს არის წალეკავს მას, ყოველ ზომას იღებ-და რევოლუციის ასაღებავად. ამ მიზნით მან პირველ რიგში განიზრახა პეტროგრადის რევოლუციონური გარნიზონის თავი-ობი მოცილება, მისი გაყვანა ფრონტზე ვითარდა „სტრატეგიული“ მოსაზრებით.

სამხედრო-რევოლუციონურმა კომიტე-ტმა დროულად გაითვალისწინა ამგვარი მესასძლებლობანი და სამხედრო ნაწილებში დაგზავნა კომისრები, რომელთა დასტურის გათვალისწინებით ოლქის შტაბის არავითარ განაკარგულება უსრულდებოდა არ უნდა ყოფილიყო.

ოლქის სამხედრო შტაბმა პირველ ხანებ-ში განიზრახა არავითარი ანგარიში არ გა-ეწია სამხედრო-რევოლუციონური კო-მიტეტის ამ ღონისძიებისათვის. მაგრამ მას შემდეგ, როცა სამხედრო რევოლუცი-კომიტეტის სათანადო ბრძანებმა ოფიციალუ-რად იქნა გამოქვეყნებული (1917 წ. 4 ნო-ემბერს) და შტაბი დარწმუნდა, რომ მისი განაკარგულებები მართლა არ სრულდება, ის იძულებული შეიქნა დათმობაზე წასუ-ლიყო და მოლაპარაკება გაემართა სამხე-დრო-რევოლუციონურ კომიტეტის წარმო-მადგენლებთან.

... მოლაპარაკება მოკლე იყო. ოლ-ქის შტაბის წარმომადგენლები თანხმდებ-ოდნენ პეტროგრადის საბჭოს მოთხოვნ-ილებებზე: საბჭოს უფლებებზე—გაეცა ბრძანებები, სავარნიზონო თათბირის არ-სებობაზე ოლქის ჯარების სარდალთან და სხვ. პირობას იძლეოდნენ, რომ ოლქის შტაბის ყველა განაკარგულებების შესახებ წინასწარი ეცნობებოდა საბჭოს, რის ნაც-ვლად უნდა გაუქმებულიყო სამხედრო-რევოლუციონური კომიტეტის 4 ნოემ-ბრის ბრძანება. ჩვენ მოვისმინეთ წინა-დადებები, წამოვიღეთ ოლქის შტაბის მიერ ხელმოწერილი პირობები და წამო-ვედით... მოლაპარაკების გაუმართავად; ნათელი იყო, რომ მოლაპარაკების და შეთანხმების ღრმად განვლო და დადგა მოქმედების ხანა („პროლეტარსკაია რე-ვოლუცია“, № 10, სადოვსკის მოგონე-ბები).

ობორონცების და მენშევიკების ბანაკში ავ დროს სრული პანიკა იყო გამოვლენილი. მათ ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ბოლშევი-კები აჯანყებისათვის ემზადებიან, მაგრამ რაღის, რომელი დღე არჩიეს მათ აჯანყე-ბისათვის? აი საკითხი, რომელიც ვერ გამო-ეწყვიტათ მენშევიკები და ბურჟუაზია. მენ-შევიკურ-ბურჟუაზიული გაზეთები მარჩიე-ლობდნენ აჯანყების დღის შესახებ: აი დღეს, აი ხვალ.

მთავრობაცა და ესერ-მენშევიკებიც მო-ელოდნენ, რომ ბოლშევიკები 2 ნოემბერს

მოაწყობდნენ გამოსვლას და როცა ამ დღემ „მშვიდობიანათ“ განვლო, ესერ-მენ-შევიკებმა თავისუფლად ამოისუნთქეს.

გას „დენ“ რიხით სწვრდა: „მათი (ე.ი.—ბოლშევიკების, ე. წ.) ანტიურთა შეიარაღებული გამოსვლით პეტროგრადში გათავებული საქმეა. ისინი განცალკევებული აღმოჩნდნენ, ისინი ალყაშემორტყმული იყვნენ არა კორნი-ლოვცებით, არამედ მთელი დემოკრა-ტიის საყოველთაო აღშფოთებით და ისინი უკვე უკან იხევდნენ“.

მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა ეს თვითრუ-გეში. „ცაქის უწყებები“ უკვე 4 ნოემბრის ნომერში იძულებული იყო გამოემუქავნე-ბია, რომ დაშვებულმა მხოლოდ გარეგნუ-ლია, რომ ესერ-მენშევიკებს შიშის ურუან-ტელი უფლის, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განაგრძობენ რევოლუციონური მარ-ტის დაწინაურებას რეპრესიებით.

... დღეს, 22 ოქტომბერს, ხელისუფ-ლება უფრო მეტის დარწმუნებით მოე-ლის გამოსვლებს, ვიდრე 20 ოქტომბერს მოელოდა. სამხედრო და სამოქალაქო ხე-ლისუფლება უკვე მზადაა ვოგელგვარი გამოსვლებისათვის.

უკანასკნელი ფაზა—მუქარა ნათელ-ჰყოფდა ცუდად დაფარულ შიშს მოახლო-ებული ბრისხანე ამბების წინაშე. ამხ. სტალინი ესერ-მენშევიკების მარჩიე-ლობაზე და შეკითხვებზე ბოლშევიკების გა მოსვლის დღის შესახებ შემდეგ სარკაზმით აღსავსე პასუხს აძლევდა:

„ბოლშევიკებმა დასცეს ყუინა: მზად იყავით! მაგრამ ჩვენი პარტიის რევოლუ-ციონური ყუინა ყველამ ერთნაირად როლი გავიგო. მუშებმა ის „თავისებუ-რად“ გაიგეს და მუდგდენ შეიარაღებას... ჯაბისაკები მუშებს არ ჩამოჩენენ... მა-გრამ ეს არ ითქმის სხვა ფენებზე. ბურჟუაზიამ იცის როგორ იმოქმედოს. მან აიღო და „ხელმეტი სიტყვების“ გა-რეშე ზამთრის სასახლესთან დადგა ზარ-ბანები, ვინაიდან მას ჰყავს „თავისი“ პრაპორშჩიკები“ და იუნკრები, რომელ-თაც, იმედი გვაქვს, ისტორია არ დაიცი-წყებენ.

ბურჟუაზიის აგენტებმა „დენ“—იდან და „დელი ნაროდა“—დან იერიში დაიწყეს ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, ერთმანეთში ურევინ ბოლშევიკებს და შავებს, წამდა-უწყვეტ გვეკითხებიან აჯანყების ვადების შესახებ.

მათი მაჩანჩალები, კერენსკის ლაქიები, დანები და ბინასიკები კი მოწოდებებს აქებობენ—არ გამოხვიდეთო, „დენ“—ისა და „ვოლია ნაროდა“—ს მსავალად თითბუ-ლობენ „აჯანყების ვადას“, მოუწოდებენ მუშებს და ჯარისკაცებს მუხლი მოადრი-კონ კიშინისა და კონოვლოვის წინაშე. დამფრთხალ ნევრასტენიკებს „ნოვიაი უჩინი“—დან კი ბოლშე ყელში მოაწყვათ, რადგან მათ „არ შეუძლიათ მეტი დუში-ლი“ და გვემუდარებიან ჩვენ ვსთქვათ დაბოლოს: როდის აპირებენ გამოვივლას ბოლშევიკები?

ერთი სიტყვით, თუ არ ჩავთვლით მუ-შებსა და ჯარისკაცებს, მაშინ ჰეშარი-ტად „Оружияи мя тельцы мнози ту-чны“. მიმართავენ ცილისწამებს და დას-ძენს, გვემუდარებიან და გვემუქრებიან გვეკითხებიან და ძობენ.

ჩვენი პასუხი. ბურჟუაზიისა და მიხი აპარატის შეხა-ხებ: მათთან ჩვენ გვექნება სხვანაირი „საუბარი“.

ბურჟუაზიის აგენტების და ლაქიების შესახებ: ჩვენ მათ ვგზავნით კონტრაზ-ვედაკმა, —იქ შეუძლიათ მათ „ცნობებოქ მიიღონ“ და თავის მხრივ „ცნობების მი-წოდება“ ვისთვისაც ჯერ არს „გამოსვ-ლის“ „დღის“ და „სათის“ შესახებ,

რომლის მარშრუტი უკვე შეადგინეს. პროვოკატორებმა „დენ“—იდან ბინასიკებს, დანებს და კერენსკის წინააღმდეგ „დენშევიკების“ შესახებ ცაკიდან: „კომიტეტს“, რომლებიც დადგენ კიშინ-კერენსკის მთავრობის მხარეში მუშების, კლენების და ჯარისკაცების წინააღმდეგ, —ჩვენ ანგარიშებს არ ვაძლევთ. მაგრამ ჩვენ შევეცდებით, რომ მათ, ამ მტრეკ-ბრუნებებმა, პასუხი ავონ იმ ყრილობის წინაშე, რომლის ჩაშლას ისინი ჯერ გუ-შინ დაპობდნენ, მაგრამ რომლის მოწყე-ვაზე იძულებული გახდენ დათანხმებუ-ლიყვენ საბჭოების ზეგავლენით.

რაც შეეხება ნევრასტენიკებს „ნოვიაი უჩინი“—დან, ჩვენ ვერ გავგეობა, ბოლოს დაბოლოს, რა უნდათ მათ ჩვენგან. , თუ მათ სურთ აჯანყების „დღის“ გავე-ბა იმისათვის, რომ წინასწარ მოახდი-ნონ დამფრთხალ ინტოქ. ძალების მო-ბილიზაცია თავის დროზე... გასაკცევთა, ვთქვათ, თუგინდ ფინეთში,—ჩვენ შეე-ვიძლია... მხოლოდ შევუკობთ ისინი, ვე-ნაიდან ჩვენ „საერთოდ“ ძალების მობი-ლიზაციის მომხრე ვართ.

თუ ისინი კითხულობენ აჯანყების „დღის“ შესახებ იმისათვის, რომ დააშვი-ლიონ თავისი „ფოლადის ნერვები“, ვარ-წმუნებთ მათ, რომ მართლაც რომ იყოს დანიშნული აჯანყების „დღე“ (*), და რომ ბოლშევიკებმა ამის შესახებ თუ გინდ უტორონ ჩაუფრთხონ მათ, ამით ჩვენს ნევრასტენიკებს იოტის კოდენათაც არაფერი არ „შეუშუბუტდებათ“: დაი-წყება ახალი „კითხვები“, ისტერიკები და სხვ.

თუ მათ უბრალოდ სურთ დემონსტრა-ცია მოახდინონ ჩვენს წინააღმდეგ, გაი-მიჯნონ ჩვენი პარტიისაგან, ჩვენ შეგვი-ძლია მხოლოდ ვაქით ამისათვის, ვინაი-დან, პირველ ყოვლისა, ამ გონიერ ნა-ბიჯს, მათ ექვს გარეშეა, ჩაუთვლიან ისინი, ვისაც ეს ენება, ყოველგვარ „გართულებათა“ და „მარცხების“ შემ-დეგ; შეროვ მხრივ, ეს ნაბიჯი შეიტანს გაოკვეულობას, მუშების და ჯარისკაცე-ბის შეგნებაში, რომლისთვის, დაბოლოს, დაიხსანგენ, რომ „ნოვიაი უჩინი“ მერო-ჯერო (პირველთა ივლისის დღეებში) დე-ზურტრობს რევოლუციის როგებიდან ბურჟუაზიული ფორმების შეგ ბანაკში. ის კი ყველამ იცის, რომ ჩვენ, საერთოდ, გარ-ვეულობის მომხრე ვართ.

ამხ. სტალინის ეს სარკაზმით სავსე წე-ოლი წარმოადგენს არა მარტო შესარიშხავ პასუხს მენშევიკ-ესერების „პროლეტარულ შეკითხვებზე“; არამედ, აგრეთვე, საუკეთე-სო ილიუსტრაციას იმ დახვედისას და პანიკა-ბას, რომელიც ოქტომბრის წინა დღეებში გაშფელებული იყო ოპორისტების და სხვა-დასხვა ჯურის „ინტერნაციონალისტების“ ბანაკში.

აჯანყება იწყება

ლო. მთავრობამ გადასწყვიტა, მიელო „გა-დამჭრელი ზომები“ აჯანყების წინააღ-დეგ“.

24 ოქტომბერს (6 ნოემბერს) იუნკრების რაზმმა დახტრა გაზეთები: „სოლდატ“ და „რაბოჩი პუტ“ და სტამბები, სადაც ეს გა-ზეთები იბეჭდებოდა. იუსტიციის მინისტრს დაევალა პასუხისმგებანი მიეცა ყველა ის პირები, რომლებიც მოუწოდებდნენ არკე-ბული წყობილების დაშრობისაკენ.

მაგრამ საზნ.-რევ. კომიტეტმა დაზურულ სტამბებში გავხანა რევოლუციონური

*) ი. სტალინის წერილი გამოქვეყნდა 2 ნოემბერს, როცა აჯანყების ვადა არ იყო გამოარკვეული.

გაქვს რევოლუციონური დემოკრატიის, ჯრ. შავრობის დასახმარებლად და დაღუპვის გზაზე მყოფ რუსეთის გადასარჩენად, მაგრამ კახაკებმა ზურგი შეაქციეს დროებითი მთავრობას.

ჯავშნიანი ავტომობილები გადავიდნენ სამხედრო-რევოლუციონური კომიტეტის მხარეზე.

დილის 6 საათზე 40 მეზღვაურმა დაიკავა სახელმწიფო ბანკი.

დილის 7 საათზე დაკავებული იქნა ტელეფონის სადგური და სამხედრო შტაბის ტელეფონების უმრავლესობა ამორთული იქნა.

დილის 8 საათზე სამხ.-რევ. კომიტეტის ნაწილებმა დაიკავეს ვარშაის სადგური.

დილის 10 საათზე ვამოქვეყნებული იქნა სამხედრო - რევოლუციონური კომიტეტის შემდეგი ცნობა:

„რუსეთის მოქალაქეებს:

„დროებითი მთავრობა დამხოვილია. სახელმწიფო ძალაუფლება გადავიდა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა ორგანოს — სამხედრო - რევოლუციონური კომიტეტის ხელში, რომელიც სათავეში უდგას პეტროგრადის პროლეტარიატსა და გარნიზონს.

საქმე, რომლისთვისაც იბრძოდა ხალხი: დაუყოვნებლივი წინადადების მიცემა დემოკრატიული ზავის ჩამოგდებას იცა-ხებ, შემართულთა საკუთრების გაუქმება მიწაზე, მუშათა კონტროლი წარმოებაზე, საბჭოთა მთავრობის შედგენა—ეს საქმე უზრუნველყოფილია.

გაუშვარჯოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხების რევოლუციას!

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს სამხ.-რევოლუციონური კომიტეტი. 1917 წ. 25 ოქტომბერი. დილის 10 საათი.

ამხ. პოდვოსკი შემდგენიარად ასწერს ზამთრის სასახლის აღებას:

„ჩვენი რაზმები თანდათან უახლოვდებოდნენ ზამთრის სასახლის მოედანს და სულ უფრო და უფრო მრავლდებოდნენ. საღამოს 6 საათისათვის მთელი სასახლე მოქცეული იყო ჯარისკაცთა რკალში. ჯარისკაცები და მატროსები უფრო და უფრო ახლო უკაცდებოდნენ სასახლეს, უკან კი სტოვებდნენ სათადარიგო რაზმებს. გადარბენის საშუალებით ისინი თანამიმდევრობით იღებდნენ ზამთრის სა-



ნახ. ნ. ეფიშოვის.

ყველაზე უფრო განმანადგურებელი ასავეთქებელი მასალა

სახლის შტურმისათვის გამოსადეგ კუთხეებს და საფარ ადგილებს“.

საღამოს 9 საათზე „ავრორა“—დან რამდენ ჯერმე ესროლეს სასახლეს. ამუშავდა თოფები და ტყვიამფრქვევები

სასახლეს იცავდნენ იუნკრები, პრაპორ-შიკების სკოლა და ქალთა ბატალიონი, რომელთაც დრ მთავრობა ატყუებდა დაპირებით, რომ კერენსკის მოჰყავს დამხმარე ჯარები

ღამის 10 საათისათვის ქალთა ბატალიონმა მიიტოვა სასახლე, სამხ.-რევ. კომიტეტის ჯარებმა შეაჩერეს სროლა, რომ საშუალება მიეცათ ყველასათვის ვინც მოისურვებდა, სასახლის დატოვებას, გამოსულიყო იქედან.

10 ს. და 40 წუთზე სმოლნში გაიხსნა სრულიად რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა, და გლეხთა საბჭოების მეორე ყრილობა (382 ბოლშევიკი, 31—ბოლშევიკების თანაგარნობი, 70 მემარცხენე ესერი, 28 მენ-შევიკი-ობორონეცი, 55 ესერი). პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ბოლშევიკები და მემარცხენე ესერები. ესერებმა და მენშევიკებმა დასტოვეს ყრილობა, ჩქარა მათ მიყენენ ე. წ. მენშევიკი - „ინტერნაციონალისტები“. ყრილობამ სპეციალურ რეზოლუციით დაჰკამო ესერების და მენშევი-

კნბს უძღლური ცდა ჩავშალათ სრ. რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა სრულყოფილი ბიანი წარმომადგენლობა. მენშევიკი - „ინტერნაციონალისტები“ წასვლის შემდეგ, ყრილობის სხდომა დროებით შეწყდა.

ღამის 11 საათზე განახლდა ზამთრის სასახლის შტურმი.

პეტრე-პავლეს კიხიდან სასახლეს ესროლეს ზარბაზნებიდან და ტყვიამფრქვევებიდან

ღამის 1 ს. 50 წ. სამხედრო - რევოლუციონური კომიტეტი ნაწილებმა დაიკავეს ზამთრის სასახლის „1812 წლის გალერეა“


ღამის 2 ს. 10 წ. სასახლე აღებულ იქნა. დრ. მთავრობის ყველა წევრები დააპატიმრეს.

საბჭოთა ყრილობის სხდომის განახლების შემდეგ, მიღებული დადგენილება მთელი ძალაუფლების გადასვლის შესახებ საბჭოების ხელში.

ყრილობის მეორე სხდომაზე კი 8 ნოემბერს (26 ოქტომბერს), ზავისა და მიწის შესახებ დეკრეტების მიღების შემდეგ, არჩეულ იქნა სახალხო კომისართა საბჭო ამხ. ვ. ო. ლენინის თავმჯდომარეობით.

ასე გაიმარჯვა ოქტომბრის რევოლუციამ პატერნი.





ზარბაზანი, რომლითაც ყუმ ბარებს ესროდენ კრემლს

ოქტომბრის ღლეუზი მოსკოვში *)

იმ დროს, როცა პეტროგრადში აჯანყებულმა რევოლუციონერმა პროლეტარიატმა მატროსებთან და ჯარისკაცებთან ერთად ერთი მოკლე დარტყმით აიღო ზამთრის სასახლე, სადაც იმყოფებოდა კერენსკის მთავრობა, მოსკოვში აჯანყება გაქიანურდა.

მოსკოვის კადეტთა ორგანიზაცია, რომელმაც თავის გარშემო გააერთიანა ყველაფერი, ვისაც კი საფუძველი ჰქონდა უკმაყოფილო ყოფილიყო ოქტომბრის გადატრიალებით, დაეყრდნო მოსკოვში მყოფ შეიარაღებულ იუნკრების დიდ რაოდენობას და დასძრა ისინი აჯანყებულებს წინააღმდეგ მოსკოვის ქუჩებში გაიმართა ნამდვილი კარსხლისღვრელი ბრძოლები, რომლებიც სიზარტყნით იმყოფებოდა, როცა კიდევ არ შეიძლებოდა თქმა იმის, თუ ვის ხელში იქნება ბოლოს და ბოლოს ძალაუფლება, ვინაიდან მოსკოვის შეიარაღებული კონტრრევოლუციონერი ძალები დასამარებლად მოიწვიდნენ ასეთივე ძალები პროვინციიდან.

პეტროგრადთან ყველაზე განაღებული იყო ბრძოლები, კერენსკი გაიქცა გატჩინაში და ცდილობდა შეექმნა ახალი ფრონტი ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ. ჩვენს მთავარ სამხედრო რევოლუციონერ კომიტეტს, რომელიც პეტროგრადში იმყოფებოდა, მაშინ კიდევ არ მოეპოვებოდა ისეთი ძალები, რომლებიც შეიძლებოდა მოეხსნა პეტროგრადიდან, მაგრამ მაინც გამოუჩინა დახმარება მოსკოვის შეიარაღებულ პროლეტარიატს, მხოლოდ ყველა ძალების დაჭიმვით და უდიდესი მსხვერპლის გადაღებით შესძლო მოსკოვის პროლეტარიატმა თავისი სოციალისტური თავისუფლების დაცვა, მოსკოვის კონტრრევოლუციონერების დაპარტყვება. მხოლოდ არტილერიის ცეცხლით მოხერხდა იუნკრების გამოდევნა კრემლიდან მათ შტაბთან ერთად, ნაწილის წაყვანა ტყვედ და, ბოლოს, დადგა იმ დროებითა შეთანხმებისა სამოქალაქო ომის ორივე მხარეს შორის, რომელიც წარმოადგენდა მოსკოვის პროლეტარიატის გამარჯვების შედეგს.


ჩვენს განკარგულებაში ამჟამად მოიპოვება იმ დროის დოკუმენტები, დაბეჭდილი მაპროგრადზე კონტრრევოლუციონერების კონტრრევოლუციონერ კომიტეტის მიერ. ეს დოკუმენტები დანიშნული იყო „შინაური მოხმარებისთვის“ მათ საკუთარ ორგანიზაციაში და იმითმ წარმოადგენენ სავსებით სარწმუნო წყაროებს.

30 ოქტომბერს დღის 1 საათზე 40 წ. „ცენტრ. კავშირგაბმულობის“ მდივანი იუწყება: „არის ცნობები, რომ კრემლა რუდნეის ჩამოუტანა კერენსკის წერილი. შინაარსი ჯერ ცნობილი არ არის“.

ეს პატარა ცნობა უაღრესად საინტერესოა იმ დროისათვის, იგი ნათელსკრფის, რომ კერენსკი არა მარტო ცდილობდა თუ საფუძვლიანი ფრონტი არა, პატარა „მუშტა“ მაინც მოეწყო გატჩინის გარშემო, რამ იერიში მიეტანა პეტროგრადზე, არამედ მას აგრეთვე განზრახვა ჰქონდა გატჩინიდან გაეღენა მოეხდინა სხვა ცენტრებზეც, მათ შორის მოსკოვზეც.

მოსკოვი ამ დღეს შიშის ციებცხელებს განიცდიდა, რაც სჩანს იმავე ბიულეტენის შემდეგი ცნობებიდან:

- ...2. პრეზიდენტის, მანსტროვის შესახებ ვინც ახლო იუნკრები დაბანაკდნ ქრისტე მსხენელის ტაძრიდან შტაბამდე.
- 3. ბოლშევიკები იბრძვიან, ყუმბარებს ისე რიან ტაძრისაკენ.
- 4. 11 საათიდან უშენენ ტელეგრაფს.
- 5. ჯარისკაცები, რომლებიც საფუძვლიან დაბრუნდნენ იუწყებიან, რომ ესერიან სამოტეკის რაიონს.
- 6. სახლის კომიტეტის თავმჯდომარე იუწყება: პერფილოვის სანაპიროსთან მახეგოროდის ჯებართან ესერიან ქვის ხილს, იუნკრები არ სჩანან.



ბრძანება კრემლისათვის ყუმბარების დაშენის შესახებ

7. სასტუმრო ობოტნორიასკოე პოდვოროვსკოე სრულიად უპროდუქტო დარჩა, სასტუმროში მცხოვრებნი განსაზღვრულ თანხას იძლევიან ოდონდ კი ისინი სადგურში გაეცანონ მოსკოვიდან წასასვლელად, აღმიწარსტრაციამ ვერ იმოგა სტრანსპორტო საშუალებებში, რადგან გაგზავნილი კაცი არ დაბრუნდა“.

ამ ბიულეტენის გამოსვლიდან 30 წუთის შემდეგ „2 ს. 10 წ.“ ქვეყნდება მეორე აქ ციებ-ცხელება უფრო მატულობს.

...1. როგორც სჩანს, ტელეფონების უმრავლესობა ბოლშევიკების განკარგულებაშია, — იუწყ. ცენტრ. კავშირგაბმულობის მდივანი და ამით ამჟღავნებს, რომ ბოლშევიკური გავლენა ქალაქის სხვადასხვა ორგანიზაციებში ამ დღის შუადღისათვისაც კი მნიშვნელოვანი იყო.

...2. № 24 სახლიდან, სმოლენსკის ბულვარიდან, გეაცნობებს, რომ ბოლშევიკებმა იკვით, რომ სახლში ჩასაფრებული არიან იუნკრები, გაჩხრიკეს მთელი სახლი, დაპატიმრეს სახლის კომიტეტის ორი რაზმელი, დაპატიმრებულია ბედი გამოურკვეველია“.

ამ პატარა ცნობიდან ხედავთ, რომ აჯანყებულთა ძალაუფლება ამ დროისათვის უკვე იმდენად მტკიცე იყო, რომ შეეძლო არა მარტო ბრძოლა და თავდასხმის მოგერიება, არამედ მტრების გამოძენაც სამოქალაქო მოსახლეობაში, მტრების, რომლებიც

გმირებოდნენ კონტრრევოლუციონერულ ნკრობას მოსკოვის პროლეტარიატთან ბრძოლაში. ამ დახმარებისათვის კონტრრევოლუციონერებისადმი რევოლუციონერული ხელისუფლება იბრძოდა რევოლუციონერული რესის მთელი სისატიკვე“.

...3. ზნაშენკაზე სახლის კომიტეტმა მოაწყო მცველი რაზმი, კერძოდ № 13 A) მოწოდებულა საკუთარი ქტი — რაზმებისა და იუნკრებისათვის, მრავალი ეწერება მოხალისეთ რაზმში, დღეს მოვიდა რამდენიმე ძალული დამკვერლი. მოვიან დახმარე ძალული ცხენოსანი ნაწილებიდან, უნივერსიტეტის ახლო დაპატიმრებულია ბოლშევიკურ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წევრი“.

...4. პეტროგრადიდან ჩამოსულის ცნობა: პეტროგრადში სრული სიწყინარება, მთელი ძალაუფლება ბოლშევიკების ხელშია. კერენსკი პეტროგრადში არ არის, ყველაზე ჩაყენებულია ბოლშევიკების მრავალიცხენიანი პიეტეტი. პოგრომების მოწყობის ყველაგარ ცდებს აქრობენ დამრბევთა დახვერვით“.

ყველას ეს ბიულეტენები, წინააღმდეგ მისი შემიდგენელის სურვილისა, სავსეა იმ ენტუზიაზმის შესანიშნავი ფაქტებით, რომელიც მოსკოვის პროლეტარიატმა გამოიჩინა რევოლუციონერ ბრძოლაში.

რაზმილები ყველაზე და ყოველთვის მოქმედებდნენ გეგმაწყოფილი, მტკიცედ მოწყობილი და თავდადებით. ბიულეტენებში ბეღრია საამისო ცნობა, მაგალითად, ნაშუადღევის სამ საათსა და 30 წ. „უფთა მესამე გიმნაზიის შერბაში ლუბინკაზე შევიდნენ შეიარაღებული პირები და მოითხოვეს, რომ მათთვის მიეცათ ტელეგრაფის სადგურისათვის სროლის ატენის საშუალება“.

ტელეგრაფის ტრა-ჯარისკაცებმა იქვე მიიტანეს მოხალისე-ტელეგრაფისტებზე, ცენტრიდან ყოველგვარი განკარგულების გარეშე დააპატიმრეს ისინი და ამრიგად არ მისცეს საშუალება გადაეკათ ცნობები კონტრრევოლუციონერების შტაბში.

ნაშუადღევს 3 ს. 30 წ. ბიულეტენი იუწყება:

... მენშევიკები სრულიად ვერ დარაზნოლან, გამოსთქვამენ საზოგადოებრივი უმისრობების კომიტეტისათვის მხარის დაქვერის სურვილს“.

ამრიგად ამ სტრიქონებიდან აშკარად სჩანს, რომ მენშევიკები, მუშათა კლასის ეს მოლატეები, მხარს უჭერდნენ ამ კონტრრევოლუციონერ ორგანიზაციას, რომელიც ცდილობდა ჩაეღრწო იუნკრები, ოქტომბრის რევოლუცია.

ამ დროს პეტროგრადში დაიწყო მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს სამხედრო-რევოლუციონერი კომიტეტის ბიულეტენის გამოსვლა. ამ ბიულეტენის პირველ ნომერში ვკითხულობთ:

... მოსკოვიდან 4 ს. 30 წ. მიღებულია ცნობა, რომ გენერალური შტაბი დანებდა და მთელი ძალაუფლება ეკუთვნის მუშათა და ჯარისკაცთა დემუტატების საბჭოს“.



იუნკრები კრემლის კადელზე

*) ვ. ბონი-ბრუვერის მოგონებიდან.

ლენინი ოქტომბრის ღვინავში

(რამოდენიმე მოგონება)



ამ წინაშეაღმდეგ მე მივხედავ ალექსანდრე რამდენ ხანს მოგონება, რომელიც გვიხატავს ლენინს ოქტომბრის დღეებში.

უშუალოდ გადატრიალების წინ მე ვხედავდი ზოლი ლენინს ებორაგის მხარეზე, როცა ის უკვე დაბრუნდა ფინეთიდან. ლენინი გვაჩვენებდა აჯანყებით, განსაკუთრებულს ყურადღებით აღვნიშნავდი თვალყურს ძალთა, შეფარდებას მაშინდელ პეტროგრადში და ამუშავებდა აჯანყების ტენიკურ საკითხებს. 10 ოქტომბერს ლენინი პირველად მოვიდა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე. 16 ოქტომბერს ის დაესწრო ცენტრალური კომიტეტის სხდომას, რომელზედაც გამოწვეული იყვნენ მთელი რიგი ამხანაგები, ეს ორი სხდომა გადაწყვეტი იყო იმ მხრივ, რომ ამ სხდომებზე საბოლოოდ გადაწყდა აჯანყების საკითხი, სმოლნში ილიჩი მოვიდა ღამით 24-დან 25 ოქტომბერს, ეს ღამე ცენტრალური კომიტეტის წევრებმა გაატარეს სმოლნის № 14 ოთახში იატაკზე და საკამებზე. ილიჩი ძლიერ ჩქარობდა ზამთრის სასახლის აღებას და მკაცრ ზეგავლენას ახდენდა ყველაზე და თითოეულზე, როცა არ იყო ცნობები შეტევის მიმდინარეობის შესახებ. დილით 26 ოქტომბერს ის პირველად დაესწრო სამხედრო - რევოლუციონური კომიტეტის სხდომას.

გადატრიალების შემდეგ ჩვენ, ცენტრალური კომიტეტის წევრები, ყოველდღიურად, ზოგჯერ რამოდენიმეჯერ ვხვდებოდით ლენინს სმოლნში იმ დაუფიქრად დღეებში, როცა სმოლნში ირრად ჯარისკაცთა, მუშათა და მატროსთა მასა, პეტროგრადთან კი გუშუნებდნენ ზარბაზნები და უკვე მიმდინარეობდა საავანგარდო ბრძოლები, რომელიც შემდეგ გადაიქცა სამი წლის უსასტიკეს სამოქალაქო ომად.

ილიჩი იყო განსახიერება ამ მსებებს დიდი ნებისყოფისა — გაემარჯვებით რაც არ უნდა მომხდარიყო. ცენტრალური კომიტეტის სხდომებზე ის ანადგურებდა მერყეულ, უღირსულად უკუაგდებდა მთ გვერდზე. თავის კაბინეტში, როგორც აჯანყების მეთაური, იგი დამშვიდებით ითვალისწინებდა შექმნილ მდგომარეობას და მტკიცედ ნიშნავდა საქმე გაზარჯვებისკენ. ხანმოკლე დასვენების დროს, დერეფანში სეირობისას, ის გაცხოველებით ესაუბრებოდა ამხანაგებს; ხელები კი უკან ჰქონდა დაკრეფილი.

ილიჩი დიდი გადატრიალების ამ დღეებში იყო არაჩვეულებრივად გაცოცხლებული მხიარული, მისგან ასხივებდა რაღაც შინაგანი სინათლე, იყო ურყევი, დაიმედებულნი და მტკიცე.

ინ დროის პარტიული ეპიზოდებიდან მე საკუთრად მიმაჩნია შეჩერდე ერთზე, სახელად — პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის ხაზის განსაზღვრის უკანასკნელ ეტაპზე, რომელიც ამავე დროს წარმოადგენდა უკანასკნელ ეტაპს ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ გამოსულ ზინოვიევიან და კამენევიან ბრძოლაში. 26 ოქტომბრის შემდეგ „ვიკელმა“*) დაიწყო თავისი შემთავსებელი წილაღობილა და შეეცადა მასში ჩაეფთხებინა ჩვენი, ბოლშევიკები.

„ცეკას (ბოლშევიკების) ბიულეტენში“ ამ მომენტის შესახებ ჩვენ გითხულობთ: „სრულიად რუსეთის რკინისგზებთა კაგშირმა წამოაყენა კოალიციონური სოციალის-

ტური სამინისტროს შექმნის მოთხოვნისგან; მეტროლი მხარეების მიერ ამ მოთხოვნისგან შეუსრულებლობის შემთხვევაში რკინისგზებები საყოველთაო გაფიცვით იმუტრებან. შექმნილია შემთავსებელი კომისია, რომელშიც შევიდნენ ცეკის, ყველა პარტიების ცენტრალური კომიტეტების, რევოლუციის ხსნის კომიტეტის, რკინისგზების და ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა წარმომადგენლები“. ამ შემთავსებელ კომისიაში“ მიმდინარეობდა დაუსრულებელი ლაპარაკი „სოციალისტური მთავრობის შექმნის შესახებ ყველა საბჭოთა პარტიების მონაწილეობით“. ეს ლაყბობა გაგვიძლიდა 30-31 ოქტომბრის და 1-ლ ნოემბრის განმავლობაში.

ილიჩს მოვხვრდა ეს უაზრო წილაღობილა და მან მტკიცედ გადასწყვიტა ბოლო მოელო ყოველგვარ მერყეობისათვის. 2 ნოემბრის (ძველი სტილით) ცეკამ მიიღო ლენინის მიერ წარმოდგენილი რევოლუციის, რომელშიც ის სსსრკ-ად კიხვავდა „საბჭოების უმეცირესობის ულტიმატუმებისა და მუქარისაღმდეგ დათმობათა“ პოლიტიკას და მოუწოდებდა „ყველა სკეპტიკოსებს და მერყეულ უკუაგდონ თავიანთი მერყეობა და მთელის გულით და უსაზღვრო ენერგიით დაუჭირონ მხარი ამ მთავრობის საქმიანობას“. მაგრამ მერყეობა არ შესწყდა, სკეპტიკოსებმა არ გაიგონეს თავისი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხმა და განაგრძობდნენ თავისი შემთავსებელი ხაზის წარმოების ცდებს. მაშინ ლენინმა 3 ნოემბერს (ძველი სტილით) შეადგინა ტექსტი განცხადების ცენტრალური კომიტეტში, რომელშიც სასტიკად იყო გაკრიტიკებული შემთავსებლობისა და დაუსრულებელი მერყეობის პოლიტიკა. განცხადების დაწერის შემდეგ ის ცენტრალური კომიტეტის თითოეულ წევრს ცალკე იწვავდა კაბინეტში, აცნობდა განცხადების ტექსტს და წინადადებას აძლევდა ხელი მოეწერა მასზე. განცხადებას ხელი მოაწერა ცეკას წევრების უმრავლესობამ. ცეკას უახლოეს სხდომაზე, თუ არ ვცდები, 4 ნოემბერს, განცხადება წაითხულები იქნა.

ეს განცხადება ბოლოს სდებდა უმეცირესობის წარმომადგენლებს იმაში, რომ ისინი „აწარმოებდნენ აწარმოებენ პოლიტიკას, რომელიც აშკარად არის მიმართული ჩვენი პარტიის ძირითადი ხაზის წინააღმდეგ და დემოკრატიულია შეაქვთ ჩვენს საკუთარ რიგებში იქვეების დათვებით იმ მომენტში, როცა აუცილებელია უდიდესი სიმტკიცე და გადაუხრებლობა“. შემდეგ განცხადება ბოლოს სდებდა მაშინდელ ოპოზიციას იმაში, რომ „მას განზრახული აქვს აიღოს პარ-

ტიული დაწესებულებები შემოიკოტბი, საბოტაჟს უწევდენ პარტიის შემთავსებელი მომენტში, როცა ამ მომენტზე უმეცირესობისგან და მარტოულია პარტიისა და რევოლუციის ბედი“. და ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ პარტია ერთსულოვნად დაუპყრეს მხარს თავის ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა თავის განცხადებაში სწერდა: „პარტიამ გადამტრელი წინადადება უნდა მისცეს ოპოზიციის წარმომადგენლებს თავისი დეზორგანიზატორული მუშაობა გადაიტანონ ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ფარგოებს გარეთ.


სხვა გამოსავალი არ არის და არც შეიძლება იყოს“.

ამის საპასუხოდ ოპოზიციამ უკეთესი გამოსავალი ვერ პოვა გარდა იმისა, რომ მოეხსნა ცეკას წევრობის სახელი და აქაც ზინოვიევი და კამენევი, რომლებმაც ხელი მოაწერეს განცხადებას ცენტრალური კომიტეტთან გამოსვლის შესახებ, გაიმეორეს იგივე, რაც ჩვენს ოქტომბრამდე, როცა აშკარად გამოვიდნენ კლასობრივი მტრის წინაშე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ 10 ოქტომბერს შეიარაღებული აჯანყების შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილების წინააღმდეგ*).

ოქტომბრის დღეებში ლენინს მტკიცე ხელით მიჰყავდა მსებები გამარჯვებისაკენ და ამავე დროს საგანგებო ზომებს მიმართავდა პარტიის მთლიანობისა და რევოლუციის წინააღმდეგ ოქტომბრის დღეებში შექტიკოსებისა და დეზორგანიზატორების წინააღმდეგ.

ა. გუზნოვი

*) ამხ. ბუბნოვის მოგონებები დაწერილია 1927 წ. კამენევი-ზინოვიევის მთელი ოქტომბრის შემდგომი მოღვაწეობა ამტკიცებს, რომ მათი მერყეობა და ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ ოქტომბრის დღეებში შიმთხვევითი მოვლენა როდი იყო, მათ თითქო აღიარეს 1917 წ. ოქტომბერში დაშვებული შეცდომა, მაგრამ შემდეგ კვლავ შესაძლებლად სცნეს ბრძოლის დაწყება პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ. მე 16 პარტიკრილობამ მათ მიერ თავიანთი შეცდომების აღიარების შემდეგ ისინი აღადგინა პარტიის რიგებში. მაგრამ მათ ჩქარა დაამტკიცეს, თუ რა „ფასი“ აქვს ამ აღიარებას. როლტენის კონტრევოლუციონური ჯგუფის მოღვაწეობის დაფარვისათვის ზინოვიევი და კამენევი კვლავ გამოირიცხეს პარტიიდან ამ რამდენიმე ხნის წინად.



ოქტომბრის ღვინავში — ყუმბ რებით დაწვრილი სახლი.

*) რკინისგზებთა კავშირის სრ. რუსეთის ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის შემოკლებული სახელწოდება „ვიკელმა“ კონტრევოლუციონური როლი ითამაშა ოქტომბრის დღეებში.

საქართველო ინჟინერული

ინჟინერული
საზოგადოებრივი

ქარხნის ბოლი ყოველთვის სანატრელი იყო საქართველოში... რევოლუციამდე ჩვენში არ ყოფილა არც ერთი სამრეწველო წარმოება ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით.

აკაკი ხოშტარია, ჯაკელი, ძეგველოვი, ბოზარჯიანი, ენფიჯიანი—ამ სამრეწველო ცივილიზაციის ის „კულტურტრეგერები“, რომელთა ხელშიაც იყო ქვეყნის „ინდუსტრიალიზაციის“ სეპელები.

მეფის მთავრობის პოლიტიკა განაპირა კუთხეებში ცნობილია. უხინდარმების ხელისუფლებას აქ განსაკუთრებით ეშინოდა მრეწველობის განვითარების და ამ ნიადაგზე პროლეტარიატის კონცენტრაციის. ცივილიზაციის ჩვენს ქვეყანას უყურებდა როგორც კოლონიას და დანტრეგესტული იყო მხოლოდ იმით, რომ რაც შეიძლება მიტი ნედლეული ამოეჭა აქედან.

„მეწვევი“ „დემოკრატიული სამოთხე“ რომ ყოველად უილაყო, უუნარო და არაფრის შემძლე იყო. მენშევიკებმა ისე გაატარეს საქართველოში სამი წელი, რომ არ შეუქმნიათ არც ერთი ცოტათი თუ ბევრად მნიშვნელოვანი წამოწყება, ან როგორ შეიძლებოდა რაიმეს შექმნა, როდესაც მთელი მათი მოღვაწეობა სხვის ხარჯზე ყოფნის ალიუსტრაცია იყო. მათ ვერ შეინარჩუნეს ისიც, რაც მემკვიდრეობით დარჩათ.

სამრეწველო მშენებლობის განვითარება საქართველოში მჭიდროდ დაკავშირებულია ოქტომბრის რევოლუციასთან, ლენინური პარტიის ნაციონალურ პოლიტიკასთან. მხოლოდ ოქტომბერმა გაუხსნა ხელფეხი ქვეყნის საწარმოო ძალებს და მშრომელთა ენერჯია მიმართა ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენებისაკენ.

თუ ძველად განაპირა კუთხეები მეფის მთავრობის საწველ ფურს წარმოადგენდა; საბჭოთა ხელისუფლებამ თავის არსებობის პირველ დღიდანვე მიზნად დაისახა სწორედ ამ კუთხეებისათვის მიექცია განსაკუთრებული ყურადღება და მათში მრეწველობის განვითარების დაჩქარებით აემალღებია ეს მხარეები კულტურულად და ჩაება საერთო სოციალისტურ მშენებლობაში.

ამ პოლიტიკის ნაყოფი დღეს ყველასათვის ნათელია. ოქტომბრის რევოლუციის 15 წლის თავზე ჩვენ შეგვიძლია ვახეცხავდით, რომ საქართველო უარესად ჩამორჩენილ აგრარ ქვეყნიდან გადაიქცა ინდუსტრიაგრარულ ქვეყნად. ფეოდალების და წვრილი ბურჟუების საქართველომ ადგილი დაუთმო სამრეწველო გვიანების საქართველოს. იქ, სადაც საცოდავთა ქრიალებდა კავი და ურემი, დღეს მზიარულად გაუფუხებენ ტრაქტორი და ავტო და ხარაჩოებში ჩამჯდარი ქვეყანა დღეს-ხვალ ათეულ ახალ ქარხნების ბოლში გახევევა.

„მრეწველობის და მთელი სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა საბჭოთა კვამირის ენერგეტიული ბაზის განმტკიცება და გაფართოება იმდენად, რომ უზრუნველყოფილი იქნას მრეწველობის და სახალხო მეურნეობის შეუფერხებელი გაშლა ქვეყნის ყველა რაიონებში“—ასეთი იყო პარტიის 16-ე ყრილობის დირექტივა სამრეწველო მშენებლობის დარგში. ენერგეტიკა საფუძველია ინდუსტრიის და ჩვენც აქედან უნდა დაგვეწყოს.

საქართველოს ენერგეტიული მეურნეობა მეფის მთავრობისა და მენშევიკების დროს საცოდავ სურათს წარმოადგენდა. ათეული საწყლად მბუტბავი წვრილი ელექტროსადგური—ამ მთელი მეურნეობა. ისინი გა-

ნათებისათვისაც არ ჰყოფნიდა ქალაქებს და რა მრეწველობის შექმნა შეიძლებოდა მათ საფუძველზე ამის მოსურნეც რომ ყოფილიყო!

საბჭოთა ხელისუფლებამ სწორედ ენერგეტიკიდან დაიწყო. თბილისის პროლეტარიატის გმირული შრომით შეიქმნა ზაქვისი, საქართველოს ელექტროფიკაციის პირველი მერცხალი, რომელმაც მძლავრი სტიმული მისცა მრეწველობის განვითარებას.

მაგრამ ბოლშევიკურ ქვეყანაში ტემპები სწყვეტს ყველაფერს. განა ზაქვის შეიქმნა ხანგრძლივად უზრუნველყოფა ეს ტემპები?! ორ-სამ წელიწადში ზაქვისი, რომელიც უღელდესი პირობებისადად უარყოფს, „ვოლხოვსკრაი“-ს შემდეგ, უკვე საქმარისი ადარ აღმოჩნდა. ახალ-ახალი დარგების აღმოცენება და განვითარება მოითხოვდა ელექტრო-ენერჯიის ახალ წყაროებს. ზაქვის გერეში ამოუღდა აბჰესი, გაჩაღდა მუშაობა რაიონზე და აჭარის-წყალზე. ორი თვის შემდეგ რიონის აქავებული ტალღები დენათ იქცევა და მსოცხლებელ ნექტარად დაიდგრება უამრავ მავთულეებზე.

რიონში ორჯერ უფრო მეტად, ვიდრე ველარ შესძლებენ სოციალიზმის და ისინი გზაზე დამდგარ ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. რიონის ჯერ არც კი ამუშავებულა და უკვე მზად არის ახალი ჰესების პროექტი. ხრამისი, რიონ-მტკვრის მძლავრი დახადარები—ამ ელექტროფიკაციის მომავალი გვიანტები, რომლებიც თამდენიმე წლის შემდეგ რეალობათ იქცევიან.


„რუსეთის ყველა ელექტროტენიკობების და მთელი მსოფლიოს მთელ რიგ საუკეთესო მოწინავე მეცნიერების დახმარებით, მუშების და მშრომელი გლეხების ავანგარდის გმირული ღონისძიებებით ჩვენ შევქმნი-

ქვეყნის ელექტროფიკაციას“—ამობლა ლენინი. დღეს ჩვენ არა თუ შევქმნით ელექტროფიკაცია, არამედ მთელს მსოფლიოს გაუსწართ ამ დარგში. დნებრის ელექტროსადგურის ამუშავებით საბჭოთა კავშირმა გაუსწრო ყველა კაპიტალისტურ ქვეყანებს და ელექტრომშენებლობის დარგში პირველ ადგილზე გამოვიდა.

მაგრამ ბოლშევიკებს არ სწევიათ მიღწეულ შედეგებზე შეჩერება. ჩვენი ტემპები „სასწაულომომქმენია“. ის, რაც დღეს ადამიანის შრომის და გონებრივ გაქანების უკანასკნელ მიღწევად არის აღიარებული, ხვალ მთელი მუშათა კლასის თავადებულე შრომის შედეგად ადგილს უთმობს ახალ, უფრო გრანდიოზულ, უფრო განსაცვიფრებელ მიღწევას.

დნებრისი ამჟამად მსოფლიო ჰიდროტენიკის უკანასკნელი მიღწევაა. ამას აღნიშნავენ უცხოეთშიც. კაპიტალისტურ სამყაროს არ გააჩნია ასეთი ელექტრო-გიგანტი. მაგრამ გავა რალაც ხუთიოდე წელი, განხორციელდება ინჟ. კოპაძის პროექტი და დნებრისი ადგილს დაუთმობს საბჭოთა ჰიდროტენიკის ახალ მიღწევას. მტკვარი და ენგური გადმოვა რიონში, კლდოვან მთებში გაითხრება ათეულ კილომეტრიანი გვირაბები, ავღუწნდება კიდევ ექვსი მძლავრი ჰიდრო-სადგური, რომელთაგან ერთი დნებრისზე უფრო დიდი იქნება. კოპაძის პროექტის განხორციელებით საქართველო ერთ-ერთი ყველაზე ელექტროფიკირებული ქვეყანა იქნება დედამიწის ზურგზე.

და რომ ეს არ არის უსაქმო ფანტაზიის ნაყოფი, რომ კოპაძის პროექტი ნამდვილად განხორციელდება—ამის თავდებია ბოლშევიკური მონღომება, ბოლშევიკური გადაწყვეტილება. ბოლშევიკური სიტყვა კი არა-



სოდეს არ შორდება საქმეს. ბოლშევიკებს ჯერ ამის საბუთი არ მოუციათ.

* *

ენერგეტიული ბაზის განმტკიცებამ და გაფართოვებამ შესაძლებელი გახადა მთებში რიგი ისეთი დარბაზების განვითარება ჩვენში, რომელთა წარმოდგენა წინა დროებამაც კი არ შეიძლებოდა. მეორე ხუთწლიური საქართველო, კერძოდ მისი დასავლეთი ნაწილი გადაიტვიჭო ელექტროენერჯის ცენტრად. ორი-სამი თვის შემდეგ ამუშავდება ზესტაფონის ფერო-მარგანცის გიგანტი. შემდეგ მას გვერდში ამოულდება ფერო-ქრომის, ფერო-სილიციუმის, ფერო-მოლიბდენის ქარხნები. ჭიათურის მარგანცის უმდიდრესი საბადოების საფუძველზე განვითარდება ფოლადის წარმოება და საბჭოთა კავშირი განთავისუფლებს უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან კიდევ ერთ, ტექნიკურად ურთულეს დარგში—ფერო-მარგანცის წარმოების დარგში.

ფერო-მარგანცი, რკინის და მარგანცის სხმული, მაღალხარისხიანი ფოლადის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ფერო-მარგანცის გარეშე წარმოუდგენელია მაღალი ხარისხის ფოლადი. ფოლადის გარეშე კი არ არსებობს საბჭოთა მანქანათმშენებლობა. დღემდე ჩვენში არ იყო ფერო-მარგანცის წარმოება. ფერო-მარგანცი დამზადება რთულ ტექნოლოგიურ პროცესს შეიცავს. კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც ფერო-მარგანცის წარმოებას ბისლენი, ამ სხმულის დამზადება საილუმინაციის ბურუსშია გახვეული. კაპიტალისტურ სამყაროს არ სწამს გამოცდილების გაზიარება, იქ ყველაფერია კონკურენცია, კონკურენცია კი გულისხმობს ერთმანეთის შექმას. ამიტომ კაპიტალისტი მაჯალაჯუნსაკვით აზის ყოველ ტექნიკურ გამოგონებას და ცდილობს თავის ქარხნის ალაყადის კარებს იქით არ გაუშვას იგი.

ასეთ პრობლემაში ჩვენ არავინ გაგვიზიარებდა ფერო-მარგანცის დამზადების გამოცდილებას. მაგრამ „არ არის ისეთი ციხე სიმაგრე, რომლის აღებაც არ შეეძლოთ ბოლშევიკებს“. საბჭოთა ტექნიკურმა აზრმა ეს საილუმინაციო დაიპყრო და დღეს ჩვენ ჩვენი საკუთარი ნიჭის და უნარის იმედით ვამუშავებთ ფერო-მარგანცის გიგანტებს.

ჭიათურის მარგანცი დღემდე უცხოეთში იგზავნება. იქ მისგან მზადდება ფერო-მარგანცი და ჩვენ ჩვენსავე მარგანცში ვალთუტას ვიხდით, რომ მივაწოდოთ ეს უაღრესად საჭირო მასალა ჩვენს ფოლადის მრეწველობას.

ამიერიდან მარგანცი ჭიათურიდან გავზავნება ზესტაფონის ქარხანაში, კი გადაამუშავდება ფერო-მარგანცის სხმულად და აქედან დაიბრუნება საბჭოთა კავშირის მეტალურგიულ ქარხნებისაკენ.

მაგრამ საქართველოს ელექტრო-მეტალურგია არ ამოიწურება მარტო ფერო-მე-

ნადობთა წარმოებით. რიონის საგენერატორო სადგურის მახლობლად, რვა კილომეტრის დაშორებით ქუთაისიდან და 30 კილომეტრის მანძილზე ზესტაფონის ქარხნიდან, დაიწყო რიონის ალიუმინის მძლავრი ქარხნის მშენებლობა. ქარხანა პირველ წლებში გამოუშვებს 10 ათას ტონა ალიუმინს, ხოლო შემდეგ მისი ნაყოფიერება აყვანილი იქნება 30—40 ათას ტონამდე.

განუზომელია ალიუმინის მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და საპროდუქციო თავდაცვის საქმეში. ალიუმინი, როგორც მსუბუქი და ძვირფასი მექანიკური თვისებების მქონე ლითონი, თანდათან იჭრება ყოველ დარგში, ავტომობილების და თვითმფრინავების წარმოება გვერდს მერაუვის ალიუმინს. ამიტომ მოთხოვნილება ალიუმინზე წლიდან წლიმდე იზრდება.

ალიუმინის წარმოებას, ისევე როგორც ფერო-მენადობთა დამზადებას, დიდი ხანი არ არის რაც დაეფუძა საბჭოთა ტენიკა. ჩვენ აქაც კაპიტალისტური საწარმოო სიბრძნელობის რკალის გარღვევა მოგვიხდა. ჩვენ არა მარტო დავუფლეთ ალიუმინის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებს, არამედ შევქმენით ნახევარ ფაბრიკატი და მზადების ჩვენი საკუთარი მეთოდი.

ამ მიღწევის საფუძველზე შენდება რიონის ქარხანა. რიონის ქარხანა ალიუმინის ძე სამე ქარხანა იქნება საბჭოთა კავშირში. ერთი არსებობს „ვოლხოვსკოი“-სთან, მეორე—დნეპროვსკთან და მესამე — რიონ-ჰესთან. ალიუმინის ქარხნები შენდება მძლავრ ჰიდრო-სადგურებთან, რადგან ისინი დიდძალ ელექტრო-ენერჯიას მოითხოვენ. რიონის ალიუმინის ქარხანა დაჯდება 36 მილიონი მანეთი და ამუშავდება 1934 წლის დამდეგს.

* *

კულტურული რევოლუციის ფართოდ გაშლის პრობლემა უაღრესად დიდი მნიშვნელობა ეძლევა ქალაქს. ქალაქი ამჟამად მწვავე დეფიციტური საქონელი. უქალაქობის გამო შეკვეცილია გაზეთების და წიგნების ტირაჟი. ეს მდგომარეობა დროებითია. ორი სამი წლის შემდეგ საქართველოს ექნება სამი ქალაქის ფაბრიკა-ენგურზე, ბზიზე და გურჯაანში. ენგურის და ბზიბის ფაბრიკები იმუშავებენ ცელიულოზზე, გურჯაანის ფაბრიკა კი—ვაზის წალამზე.

ყველაზე ადრე ამუშავდება გურჯაანის ფაბრიკა. 1934 წელში ჩვენ უკვე გვექნება საქართველოს ვაზის წალამის პირველი ქალაქი. ქალაქი საუკეთესო ხარისხის გამოდის. ენგურის და ბზიბის კომბინატები უნდა ამუშავდნენ 1934 წელში. ენგურის კომბინატი იმუშავებს სენანეთის ტყეების ხეღვეულზე, ბზიბის კომბინატი კი გადაამუშავებს აფხაზეთის ცელიულოზს. ქალაქის ფაბრიკების გარდა ორივე კომბინატი ექნება ქიმიური ქარხნები, სადაც გადამამუშავდება მერქანის გამოყენების შემდეგ დარჩენილი პროდუქტები.

იმ მიღწევათა შორის, რომელიც მოიზოვა ჩვენმა ქვეყანამ ოქტ. 15 წლისთავისთვის განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ საქართველო ხდება ამიერ-კავკასიის ნავთის ძირწველობის მეორე ცენტრად. შირაქის ნავთი უკვე გამოვიდა პრობლემატიურობის რკალიდან და თავის არსებობას ანხელს მთელ რიგ მძლავრი შადრეგებით. ნავთი შირაქში ცნობილი იყო გასული საუკუნეიდან, მაგრამ ბოლშევიკების მოსვლამდე ვერაფერი შესძლია მისი გამოიმუშავება. დღეს უკვე შირაქის ცელი მოფენილია ქაბურღოლების კომპეტით და უახლოეს ხანში დაიწყება ნავთის სამრეწველო ექსპლუატაცია. მაგრამ ნავთი აღმოჩნდა არა მარტო კახეთში, აზილისიცი, თურქმენ, ნავთის ფენაზე

მდებარეობს. გამოკვლევებმა დაამტკიცეს ნავთის არსებობა ნავთულში. დღეს ნავთილის ცელი ჩაბმულია ნავთისაღების ბროლაში. თბილისის სამხრეთ კარებთან აღმართულია 30 მეტრიანი კარხის კომპლექსი რომლის ბურღი პირველად 1927 წელს დაიწყო ეკავთება ნავთილის მზებრუნველობის წას.

შირაქი და ნავთული ჯერ მარტო არიან/ მაგრამ მალე მათაც გაუჩნდება თანამედროვეები. მარტოფი, ნორი, გური—ის ადგილები, სადაც უნდა გასკდეს დედამიწის ქერქი და ზედაპირზე ამოვიდეს შავი ოქრო. ეს არც ისე შორეულ მომავლის საქმეა.

საქართველო მდიდარია მინერალურ და არამინერალურ მადნეულით. ზოგი მათგანი დღემდე სრულიად უცნობი იყო. ქვანახშირი, მარგანცი, ბარიტი, გუმბრინი, ანდეზიტი—ამ მადნეული, რომელთა მოსაპოებლად ვაფთრებთ იბრძვის პროლეტარიატი.

ჩვენ ვერ დავკავოფილდებით მადნის არსებულ მარაგით, ჩვენ ვეძებთ ახალ-ახალ მადნეულს, არსებულ მადნების ახალ საბადოებს, რადგან სოციალიზმისათვის საჭიროა მთელი სიმდიდრის გამომუშავება, ყველა შესაძლებლობათა აღრიცხვა. ამ ნიადაგზე ჩვენ მრავალი საყურადღებო მიღწევა მოვიპოვეთ ახალციხეში აღმოჩენილი ქვანახშირის დიდძალი მარაგი, აღმოჩენილია მარგანცის, ბარიტის, ნავთის საწმენდ თიხების ახალი საბადოები, სწარმოებს მათი ლაბორატორიული შესწავლა.

მეორე ხუთწლიურ საქართველოში საფუძველი ჩაეყრება შავ მეტალურგიას. ტყვა რჩელის მდიდარ ქვანახშირის საფუძველზე ოქროსი უნდა შეიქმნეს თუჯის წარმოება და მძლავრი ქიმიური კომბინატი, რომელიც გადაამუშავებს ქვანახშირის კოქსად ქვეყნის დროს მიღებულ აირებს. ამ ნიადაგზე შეიქმნება მინერალურ სასუქების წარმოება, რომელიც ერთი-ორად გაზრდის ჩვენი სოფლის მეურნეობის მოსავლიანობას.

კიდევ ბევრი წარმოება შენდება საქართველოში. ავარის შაქრის ქარხანა, ნავთილის მარკარინის ქარხანა, ქუთაისის ლიტონის და საკონსერვო ქარხნები, ბათუმის ბუნებრივ საღებავების ქარხანა და მრავალი სხვა—ის ხარჩოები, რომელშიაც ჩამჯდარია დღეს მთელი რესპუბლიკა.

სოციალიზმის მშენებლობას საქართველოში თერთმეტი წლის ისტორია აქვს. ამ მცირე მანძილზე გაკეთდა იმდენი, რამდენიც არ გაკეთებულა საუკუნეების განმავლობაში. ქვეყანა დაისერა ახალი გზებით, საქარხნო მიწები აღიმართა ისეთ ადგილებში, სადაც მხოლოდ ქაობის ამშორებული სუნი იდგა მგლებს ღმუთული აყრუებდა იქაურობას. ყველაფერი ეს ოქტომბერმა მოგვიტანა.

და დღეს, როდესაც ჩვენ ვიგონებთ ხუთმეტი წლის ბრძოლის დღეებს, საქართველოს მშრომელები ერთხელ კიდევ თვალს გადაავლებენ იმ შავნულ ეპოქას, როდესაც შრომა გათანაფრთხილებული იყო მონობასთან და კიდევ უფრო მეტი სიძულვილით გაიმსკვალეობიან იმით მიმართ, ვინც ამ მონობის დაბრუნებას ფიქრობს.

ისტორია წინ მიდის. მის ჩარხის ტრიასლ უჭლნა ევრავინ შემოატრიალებს. ისტორია კი ამბობს: კაპიტალიზმი დალაპა, ის უნდა დაილუპოს, მის ნანგრევებზე უნდა შეიქმნეს ახალი სოციალისტური საზოგადოება და იქნება კიდევ.


გალვა ბუაჩიძე.



რიონის: ძველი მუშა ახს. ხვადავანი, რომლის ხელმძღვანელობითაც შექმნილ ქურ საფეხლონებში სრულდება სამუშაოები საგენერატორო სადგურის შენობისათვის წარდგენილია დასაჯილდომებლად შრომის ორდენით

ლეინური ნაწილნაური პტლიბიკის წყალბით

ბოლო ელვა კველი მფვის რუსეთის შოფ. კოლონიების ეკონომიურ და კულტურულ ჩამორჩენილობას, აღორკინების და განვითარების გზაზე დგებიან ხალხები, რომლებიც მფვის ოპრიჩინიკების პტლიბიკის წყალბით გადაგვარების და გადაშენების გზაზე იყვნენ დამდგარი. დღეს ისინი არიან საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი ოჯახის სრულფლებიანი წევრნი და იბრძვიან სოციალიზმის მფენებლების მოწინავეთა რიგებში




მედტეხნიკუმის ლაბორატორიაში მუშაობენ მიკროსკოპით (თურქმენისტანი)




მებამბე კოლმეურნე (უზბეკისტანი)



თურქმენი—მუშა-ქალი



რადიო-ველათ, ბამბის პლანტაციებზე (კახაკსტანი)



ავადმყოფი მშრომელი გლენები საავადმყოფოში. მკურნალობა „მთის მზით“ (უზბეკისტანი)

ყანაში, სოციალიზმის მშენებელთა ქვეყანაში.



ახს. კალინინი და ორჯონიძე მიტინგაზე

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა ახალი უდიდესი გამარჯვება მოიპოვა სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე: სოციალისტური ინდუსტრიის გიგანტების რიგში შევიდა დნებრჰესი, მთელს მსოფლიოში უდიდეს ჰიდრო-ელსადგურში.

450.000 ცხენის ძალის ენერჯია შეემატა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობას. შემდეგ კი, როცა მუშაობას დაიწყებენ დნებრჰესის ყველა ტურბინები, მიემატება კიდევ 400.000 ცხენის ძალის ენერჯია.

850.000 ცხენის ძალა — ასეთია დნებრჰესის ძალოვნება.

ნიაგარის წყალავრდნის უდიდესი ჰიდრო-ელსადგურის ძალოვნება უდრის 425.000 ცხ. ძალას, კო-


ნოინგოს — 378.000 ცხ. ძ., მოსლ-შოლსის — 260.000 ცხ. ძალას.

ამრიგად დნებრჰესი ამჟამად უდიდესი ჰიდროელსადგურია მთელს მსოფლიოში.

დნებრჰესი — უდიდესი გამარჯვება, არა მარტო იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის მისი სახით აქვს გიგანტი ჰიდრო-ელსადგური, არამედ, იმიტომაც, რომ მის მშენებლობაზე, როგორც სარკვეში გამოიხატა უდიდესი სიდიადე და სილამაზე სოციალისტური შრომისა, რომლისთვისაც არ არსებობს არავითარი დაუძლეველი სიძნელეები, რომელიც გვიჩვენებს გმირობისა ოა თავდადების, იშვიათ ნიმუშებს, შესაძლებელს მხოლოდ თავისუფალი შრომის ქვე-

„გავლენ წლები, ჩვენი დიდი საბჭოთა ქვეყანა ააგებს კიდევ უფრო გრანდიოზულ სადგურებს ვოლგაზე, შემდეგ კი ანგარაზე, მაგრამ მშრომელი ხალხის მენსიერებაში სამუდამოთ დარჩება მსოფლიოში ჯერ-ჯერობით უდიდესი ჰიდროსადგურის — დნებრის ჰიდროელსადგურის მშენებლობის დიადი და წარმატაცი პოემა. ჩვენ ამ მშენებლობაზე ვუჩვენეთ დაბეტონების ზემოფლიო რეკორდები. ასე, მაგალითად, მსოფლიო რეკორდათ ითვლებოდა 380.000 კუბ. მეტრ ბეტონის დაგება სეზონის განმავლობაში, ვილსონის ჯებირზე ამერიკაში. ამერიკელები ათას უაიდაზე მთელს მსოფლიოში გაჰყვიროდნენ ამის შესახებ, ჩვენ დნებრის ჯებირზე გეგმით გათვალისწინებული გვექანდა 427.000 კუბ. მეტრი ბეტონის დაგება 1930 წ. სეზონის განმავლობაში, დავაგეთ კი — 518.000 კუბ. მეტრი...

არა ნაკლებ გმირული ტემპები მოგვცეს მუშებმა მშენებლობის სხვა უბნებზე; ქვეყნისთვის ცნობილია ჩვენი მემონტაჟების მსოფლიო რეკორდები მსოფლიოში უდიდესი ტურბინების მონტაჟის დარგში. ამერიკის ყველაზე დიდი გენერატორის სიმძლავრე უდრის 57.000 ცხ. ძალას, დნებრის ერთი ჰენერატორის სიმძლავრე კი — 85.000 ცხ. ძალას. უფრო ნაკლები სიმძლავრის ტურბინის მონტაჟისათვის, ვიდრე დნებრის სადგურზეა, ამერიკელებს დასჭირდათ 45 დღე; ჩვენ პირ-





ველი ტურბინის მონტაჟი დავამთავრეთ 34 დღეში, მეორეს — 29 დღეში, მესამეს — 26 1/2 დღეში, მეოთხეს — 29 დღეში, და მესუთესი — 23 1/2 დღეში...

...ჩვენ, დნებროსტროის 30.000 დამკვერელმა, არაჩვეულებრივის სიცხადით და დამაჯერებლობით დავამტკიცეთ, რომ შრომა ჩვენთვის არის „ღირსების, სახელის და გმირობის საქმე“.

ასე სწორედ თავიანთ პატაკში დნებროსტროის მუშები, მუშა-ქალები, სპეციალისტები და მოსამსახურეები.

ზამთრის გრივადი, თოვლი, საშინელი ყინვები — ვერაფერი ვერ აჩერებდა დნებროსტროის მშენებლებს. გეგმები სრულდებოდა ვადაზე აღრე და გადაჭარბებით.



აბს. ბ. ვ. ვაიდანოვსკი
მთავარი ინჟინერი, დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.



ა. ნ. ზ. ალმასანდროვსკი
დნებროსტროის პროექტის ავტორი, დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.



ინჟ. ნიუ კუზნეცი
ამერიკელი კონსულტანტი, დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.



აკად. ა. ვინტარი
დნებროსტროის უფროსი, დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.



აბს. ვ. ა. ჯაბაროვიჩსკი
ჯგბირის მარცხენა ნაწილის მშენებლობის ხელმძღვანელი, დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.



აბს. ვ. გ. მიხაილოვსკი.
დნებროსტროის უფროსის მოადგილე დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

გატაცებით და სწრაფი მისწრაფებით წინ.

სწერს მერვე ამერიკელი სპეციალისტი ტამსონი.

ამ გმირული, თავდადებული მუშაობის წყალობით დნებროსტროის ამუშავდა ორი წლით ადრე, ვიდრე ამერიკელები ფიქრობდნენ და შვიდი თვით ადრე მოგვცა ენერჯია, ვინემ საბჭოთა გეგმით იყო დათვალისწინებული.

მაგრამ დნებროსტროს არ არის მართლ უდიდესი ჰიდრო-ელსადგური. ეს არის გული ახალი უდიდესი სამრეწველო რაიონის, რომელიც შენდება დნებროსტროის მარჯვენა ნაპირზე — დნებროსტროის კომბინატის, რომელიც თავის მასაზრდოებელ სისხლს — ელექტროენერჯიას მიიღებს დნებროსტროსიდან. დნებროსტროის მშენებლობას აქამდე დახრდილული ჰქონდა დნებროსტროის კომბინატი. ახლა, როცა დნებროსტროიმ მოიცილა ხარაჩოები და იქცა დნებროსტროსათ — მთელი თავისი სიდიდით გამოჩნდა უდიდესი მშენებლობა, ახალი უკრაინის დიდი სამრეწველო ცენტრი, რომელიც დნებროსტროის პარალელურად შენდებოდა და ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული.

კოქს-ქიმიური ქარხანა 4 ბატარეით განაწილებული 275 ლომილით — ეს არის 1300 ტონა კოქსი წლიურად.

მეტალურგიული ქარხანა — 1055, ათასი ტონა თუჯი, 280.000 ტონა საკონსტრუქციო ფოლადი, 33.000 ტ. ინსტრუმენტ. ფოლადი, 55.000 ტონა უმაღლესი ხარისხის მავთული წლიურად.


ფერო-შენადნობების ქარხანა. — 80.000 ტონა ფერო-მარგანეცი, 20.000 ტონა ფერო-სილიციომი, 4000 ტ. ფერო-ქრომი, 1.600 ტონა ფერო-ვოლფრამი, წლიურად მძალე


ამერიკელი სპეციალისტებიც კი, რომლებსაც თითქო ვერაფერი გააკვირვებდა, რომლებიც ამბობდნენ,

რომ ამერიკული ტემპებითაც კი ჩვენ სადგურს ვერ ავაშენებთ 7 წელზე უფრო ადრე, გაოცებული, განცვიფრებული იყვნენ იმ უმაგალითო ენტუზიაზმით და ტეხებით, რომლითაც დნებროსტროის მშენებელთა არმია ასრულებდა მშენებლობის გეგმებს.

— „დნებროსტროიმ შეასოულა ის, რაც მე შეუძლებლად მიმაჩნდა“, — განაცხადა დნებროსტროის მთავარმა კონსულტანტმა. — ამერიკელებმა სპეციალისტმა კუბერმა.

„ჩვენ გვინახავს დაბეტონება სხვადასხვა ქვეყნებში და საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში. თითოეულ ჩვენგანს პირველად როდი უხდება ბეტონის ზვავის დანახვა. ეს არის სურათი, რომელიც უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს, ყველაზე თვალსაჩინო ეს არის ის, რომ ზვავი მოძრაობს შეუსუსტებელი ძალით და ყველანი უკლებლივ შეპყრობილია





აშხ. კალინინი კითხულობს მთავრობის დადგენილებას „დნეპროსტროი“-ს გმირების დაჯილდოების შესახებ.

ხარისხოვანი ფოლადის დასამზადებლად.

ალიუმინის კომბინატი — 15.000 ტონა ალიუმინის ფლოურად.

სალმშენებლო მასალების ქარხნები — ასეული ათასი და მილიონ ტონა პროდუქციით.

სარემონტო ქარხანა — ფოლადის თუჯის და სპილენძის სადნობ ცეხებით, მექანიკური და საკონსტრუქციო ცეხით.

ასეთია მოკლედ დნეპროკომბინატი, რომელიც ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის.


მაგრამ დნეპროპესი დნეპრის კომბინატთან ერთად არის არა მარტო ახალი სამრეწველო ცენტრი, არამედ აგრეთვე ცენტრი ახალი კულტურული სოციალისტური ელექტროფიციერებული სოფლის მეურნეობის. კუნძულ ხორტიკაზე, რომელიც მდებარეობს დნეპრის ჯებირის პირდაპირ, სადაც ოდესღაც მძვინვარებდა თავისუფალი კაზაკობა, კეთდება უდიდესი კულტურული საქმე — იქმნება — „უზარმაზარი, მასშტაბითა და მუშაობის შედეგებით მსოფლიო, მნიშვნელობით საკავშირო და სახელწოდებით სრულიად უკრაინის ლაბორატორია სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისა“ („ნაში დოსტიჟენია“ № 8).

„რომ დადგე კუნძულის ჩრდილოეთ ნაპირზე, მდინარის დინების პირდაპირ, თვალწინ დაგვიდგება ბურჯებით და ყოფილო ჯებირის კედელი. ჰიდრო-ელსადგური — მარცხნიდან. იგი გარშემორტყმულია აქაფებული წყლით. ჰიდრო-ელსადგური — წყლით. იგი ბანაობს წყალში. ნაპირზე — ფოლადის ანძების ტყე, მავთულების რთული ობობას ქსელის მაგვარი ქსოვილებით. შავი

გიგანტები — ანძები, რომლებზედაც გადაჭიმულია მავთულები, წამწკრივებულია აქ ერთეულად, ორ-ორი, ოთხ-ოთხი თითო რიგში. ისინი მიდიან მზისაგან გარუჯულ მინდვრებში დნეპრის გასწვრივ, მრავალხალხიან ფოლადის დნეპროპეტროვსკში, ალაჯებენ სკვითების კურგანებზე და მიეშურებიან ნიკოპოლის მარგანეცისაკენ, კრივოროჟეს მადნებისაკენ, დონბასის მადაროებისაკენ. ფო-



აშხ. ი. ს. ნიბატულინი, მსოფლიოში ჯერ არ გაკონიღო ტემპებს მიღწია ტურბინების მონტაჟის სექცეში, დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.



აშხ. მ. ნ. კონსტანტინოვი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.



აშხ. ი. ი. დოლინი გენერატორების და გადამცემი ხაზების მონტაჟის ხელმძღვანელი, დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

ღმადის მხრებზე მათ დნებრზე
გადააქვთ წკრიალა მავთულები,
გარს უფლიან სოციალისტური ქა-
ლაქს და მიიმართებიან მოედნის-
კენ, სადაც იმაოთება კომბინატე-
ბის, ქარხნების და ფაბრიკების
ცეხები. მავთულების შავი პარა-
ლელები სეოავენ ცას, ამსავსე-
ბენ მას სანოტე ქალაღდს. დნეპ-
რის ელექტროდენი ამოძრავებს
წყლის საწნეო სადგუოებს. სად-
გურები გვალვთან მინდვრებისა-
კენ მიღებიან დნებრის ცივ
წყალს. მიწა ახალგაზრდავდება და
მჭკნარი ნაოჭები, შექმნილი გვა-
ლვებით, ირწყვება. ჰექტარი მორ-
წყული მიწა კი გვპირდება 207
მანეთ შემოსავალს. ამავე ჰექტა-
ტარს არ უნდოდა 55 მანეთზე
მეტი შემოსავლის მოცემა.

ათეული ათასი ჰექტარი უკვე
ზორწყულია. მორყული იქნება მი-
ღონ ნახევარი ჰექტარი“.

დნებროჰესი, ახალი სამრეწველო
გიგანტები, ელექტროფიცირებული
სოციალისტური სოფლის მეუონე-
ოთა — ეს არის განათლება, კულტუ-
რა, ახალი ცხოვრება, ახალი ადამი-
ანიები, ნათელი და ძმრალი ბინე-
ბი წაფერდებული ქონმახების ნაც-
ვლად, ფართო კულტუოულერ გზები
ორღოაქებში მიმავალ ტალახთან პუ-
კების ნაცვლად.

ეს არის ახალი სოციალისტური
ყოფა-ცხოვრება.

დნებროსტროის მნიშვნელობა კი-
დევ უფრო იზრდება იმ საშინელი
კრიზისის ფონზე, რომიოსაც განი-
ცდეს კაპიტალისტური მსოფლიო,
კრიზისის, რომელც ქუჩებში ერეკე-
ბა ათეულ მილიონ მეუმებს, რომე-
ლიც თავისი ცოდნა-გამოცდილების
მოხმაოების საშუალეობას ართმევს
ასეულ ათას მაღალკვალიფიცირურ
სპეციალისტებს.

დნებროსტროის შუქი კიდევ უფ-
რო მეტის სიძლიერით ანათებს კა-
პიტალისტურ მსოფლიოში გამეფე-
ბული კრიზისის წყვდიადში და არა
ჩვეულებრივის სიცხადით უჩვენებს
ყველას იმ კონტრასტს, რომელსაც
წარმოადგენს ერთის მხრივ გამოუ-
ვალ ჩიხში მოქცეული, კრიზისის
დამბლით შეპყრობილი ბურჟუა-
ზიული სამყარო და მეორეს მხრივ
სოციალიზმის ძლივამოსილად მშე-
ნებელი სასწოთა ქვეყანა.

ხუთმეტი წელი უკვე გავლუნეთ,
დღეს გამარჯვებ ის მკვეთრი ხმა ისმის,
ინდუსტრიის მძლე ბორბლებს ვაბრუნებთ,
ჩვენ მშენებლები სოციალიზმის.

ჩვენ საბჭოეთის დამკვრელ ბრიგადამ
ეპოსი ბრძოლით წინ, წინ დავძარიტ,
ჰა, მიღწევები სდგას ბარიკადათ.
ენტუზიაზმის ძლე იერ ხანძარიტ.

მაღალი ტემბი! — ყველგან გაისმის
და მანქანებსაც გააქვს დანდგარი,
დღეს პირობები სოციალიზმის
გამარჯვებისთვის უკვე მზად არი.

სკდება ლალუმი, დინამიტები
კლდეების გულმკერდს ხლიეინ, ფატრავეო
მთაო! სიახლის ნისლში ხვევი
მთაო! შენს ზურგზე გივანტებს დვამენ.

შენ მეთუპყრიხარ დღეებს ნაომიანს,
ნაღმის ძახილი ხვეში გრიალებს
ჩვენი ეპოქა რკინის ძარღვიანს
იძლევა ახალ ადამიანებს.

და მყინვარწვერო, ნუ გაიკვირვებ,
რომ დაუძლორდი დავეტყო რღვევა,
ვერ გხუმკლავდი სუთწლედის გმირებს,
ბოლშევიკურად გწყევს შეტევა.

ანდენიტისთვის მკერდს გინგრევთ კვლავ მხნედ
თავს კვამლიანი ცა გვახურია.
შრომა ვადიქცა „გმირობის საქმედ“.
მთებო, მადნების სისხლი გვწყურია.

ცაში ელავენ ცეცხლის ხაზები
მზე — ინდუსტრიის ბორბლის ბრუნებით,
შენდება მძლავრი ბუმბერაზები
ახალ-ახალი ელსადგურებით.

დაჰკარ დამკვრელო, კუნთებ მაგარო,
ჩამოანგრეე ძველი კედელი,
შეჯიბრში თფლი უნდა დაღვარო
სოციალიზმის თუ ხარ მჭედელი.

როცა მძლავრად სცემს ქანებს წაკატი,
მაშინ კუნთები განიცდის დრეკას,
რომლის მყიდვად წინსვლის პატაკი
გაეგზავნება პარტიის ცეკას.

რომ დაეუფლო ტენიკის საქვს,
შრომაში გმართებს მეტი გმირობა,
შენი მძლე ბრძოლით უნდა განაღდდეს
ისტორიული ექვსი პირობა.

საბჭოთა სოფელს ამკობს, ანათებს
წინსვლა დიადი, წინსვლა მზიური,
იქ შეიბრძოლა წარსულ ადათებს
შრომის ბარაქა კოლექტიური.

უფრო დიდია დღეს აღტაცება,
ზღვა სინაოულში შევცურეთ ლამის
სიმინდის გვერდით დავაჟაკება
სოფლად დაიწყო — ჩაის და რამის.

სოციალიზმის ბორბლებს ვაბრუნებთ
ირგვლივ ბრძოლები ჩვენ გვაქვს გმირული
მტრის შემოტევა მთავრდება მარცხით,
მტერი ეცემა გულგამირული.

ვამა დამკვრელებს, ვისი კუნთებიც
მშენებლობაში განიცდის დრეკას,
და გაუმარჯოს, ამბანავებო,
ჩვენს საკავშირო ლენინურ ცეკას!

კიდევ ერთი დიდი გეგმა, როგორც უნდა უნდა ბული იქნება

(ინჟ. მ. კობაძის პროექტი)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მწარე წარსული

საქართველო ცნობილია მდინარეებით. ტკბილად მოდულუნე მტკვარი, „მზარული“ რიონი, გივი ცნგური, გაცოფებული ცხენის წყალი, ბზინი აქაფებული, კოდორი აფორიაქებული...

ჩვენი ქვეყნის თვალუწვდენი მთის მწვერვლებში იწყება დენა ყველა მდინარეებისა, რომლებსაც შეუდარებელი სისწრაფე, უდიდესი ძალა აქვთ.

მაჩვენებლები? საქართველოს მდინარეთა ხვედრითი წონა უდრის ორას ცხენის ძალას, რუსეთის — თორმეტისას, სომხეთის — სამოცდა ხუთისას, აზერბეიჯანის — ორმოცდა ცხრა ცხენის ძალას.

ერთ კვადრ. კილომეტრზე ჩვენი გიდროძალა უდრის 605000 კილოვატსაათს, აზერბეიჯანის — 186,000, სომხეთის — 250,000 ანაირად თეთრი ნახშირის მხრივ ჩვენ შეუდარებელი პროდუქტები ვიმყოფებით.

ასეთი ძლიერია ჩვენი წყლები. ასეთი მალაზხარისხიანია ჩვენი მდინარეები.

ბუნებამ დააჯილდოვა საქართველო ამ სიმდიდრით, მაგრამ ველური და გამოუყენებელი, ის ხშირად ხალხის რისხვად გვეწოდება!

როცა ჩვენი მთების ფერდობებზე ამწვანდება ტყის ბალახი და მზის სხივი მიწის ქონიდან გამოასწოვებს მომხილავ — იის პირველ თაიგულს, — როცა დნობას დაიწყებს თოვლი მთაში და დაუსრულებელი ნაკადებით ჩაიხრიალებენ მთის ნაპარაკებში კლდის წყლები — „გოდება“ საქართველოს მდინარე!

გადმოდის ნაპირებიდან რიონი, ცხენისწყალი, ცნგური. ოხრდება ათასობით გექტარი ნათესი, წყალი ფარავს ლანჩხუთსა და ფოთს შუამდებარე ტყეებს, ყანებს...

გაიფებული ცხენის წყალი რიონისაგან მიღეკავს სახლებს, პორტუკეს, ადამიანს!..

ინგური ანგრევს ხე-ტყის ქარხნებს და უამრავ ხის მორებს შთანთქმავს შავი ზღვა!

დაბლობებში რჩება ქაობები, ნალექებში მკვიდრ საბუღარს იჩენს კოლა და საშინელი ციებ-ცხელება სპობს მოსახლეობას.

მალარიის სიცხე აღრჩობს კოლხეთს!

ასე ხდებოდა დასაბამიდან ჩვენს დრომდე.

წინეთ არავინ ყურადღებას არ აქცევდა ხალხის უხედაურებას.

არავინ არ ზრუნავდა ხალხის გადარჩენაზე, მის დაცვაზე სტიქიისაგან, ბუნების ძალთა მშრომელთა კეთილდღეობისათვის გამოყენებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

მეფის მთავრობა თავისი ჯამბაზებით, მღვდელ — მონაზვნებით და საკუთრთველებით, წყალიდობის შემთხვევაში ზარების რეკას და, „ლიტანიებს“ მიმართავდენ, ხალხის კიდევ უფრო დასაბრმავებლად!..

„დემოკრატიულ“ მთავრობას მდინარეთა შესწავლისათვის და მათი ძალის გამოყენებისათვის არ ეცალა, ის საბუღარებს აწყობდა ფოილიში, დარიალის ხეობაში, კინტრიშთან!..

ის უცხოელებს აძლევდა კონცესიებს საქართველოს გამოჩენილ და უჩინარ სიმდიდრეებს!

ბუნებით ასე უხედა დაჯილდოვებულ ქვეყნის მუხები და გლეხები კი შიმშილით

სულს ღაფავდენ და უმთავრესად ქაობებში იხრჩობოდნენ!

მაშინ, ვინ იფიქრებდა მდინარეების ძალთა გამოყენებაზე!

ჩვენი ქვეყნის დაუსრულებელი სიმდიდრენი უცდიდენ ისეთ მშენებელს, რომელიც ტიბანური გაქანებით ერობაშად გარდაქმნიდა მთელ ცხოვრებას...

წლის დაუფლება

ძლევამოსილმა ოქტომბერმა დასაფლავა ძველი რეჟიმი, ყველა მისი ატრიბუტებით და ხელისუფლების საკე პროლეტარიატს გადასცა.

დამკვიდრდა საბჭოთა ხელისუფლება. მუშათა კლასი შეუდგა ცხოვრების ძირბუდიანად გარდაქმნას.

შეუდგა სოციალიზმის შენებას.

ქვეყნის მრეწველობის აყვავება, კაპიტალისტურ მსოფლიოს გარემოცვის პირობებში, მოითხოვდა ჩვენი კუნთების მაქსიმალურად დაქიმვას, ბუნების ყველა შესაძლებლობათა გამოყენებას, მეცნიერებისა და ტექნიკის სრულ დაუფლებას ენერჯისა და ამერიკის დასაწევად მრეწველობის დარგში.

მოითხოვდა პირველად ყოველისა შიძინე მრეწველობის უსწრაფეს განვითარებას.

ეს კი შესაძლებელი იყო მხოლოდ და მხოლოდ იაფი ელექტრო-ძალით, რომელიც საშუალებას მოგვცემდა მოგვეწყო ჩვენი საკუთარი რესურსებით, უცხოეთის დაუხმარებლად, ჩვენი ინდუსტრია!

ამ პირობებმა წარმოშვა ლოზუნგი:

— სწრაფი ინდუსტრიალიზაცია ელექტროენერჯიის გზებით!..

მუშათა კლასმა კარგათ შეითვისა, რომ საქართველო მდიდარია წყლების ძალით, რომელიც ყოველ წელს აურაცხელი რაოდენობით მდინარეთა გამოუყენებელ დენის და წყალიდობის სახით იკარგება.

სასწრაფო გამოკვლევა დაამტკიცა, რომ საქართველოს გიდრო ენერჯია სრულიად დააკმაყოფილებდა ჩვენს მოთხოვნილებებს და კიდევ მეზობელ რესპუბლიკებს მოხმარებდა.

მუშათა და გლეხთა მასები ენტუზიაზმით შეუდგენ ელსადგურების შენებას.

მრავალი საუკუნეების მოწმე ტფილისი გაანათა ზაქვის ელექტრონათურებში. წამოიჭრა რიონწყისი!

აბჰესი!.. ხრამწყისი და სხვა მრავალი „ჰესები“, რომლებიც დააჩქარებენ სოცმშენებლობის ტემპებს.

დღეს უკვე ჩვენი ელექტრო — მავლები დაჰქირაბს სურამის უღელტეხილზე.

ხეალ ელექტრო-გუთნები გადახნავენ ჩვენს მიწდვრებს, ელექტრო-ძალით გადაზიდავენ ტვირთებს, ამოძრავებენ გიგანტურ ჩაქურებს, გასწვნიდენ ქალაქებს და განათავისუფლებენ ჩვენს კუნთებს შრომის მიძინე უღელისაგან!

მუშათა კლასმა მიზანში ამოიღო მდინარეები, რაკი მასში ამოიდნა ძალა დაგროვილი და შეუდგა მათ სრულ დამორჩილებას, მათი შესაძლებლობის გამოყენებას.

ამ ზაზე წამოიჭრა საქართველოში ჰიდროცენტრალების მშენებლობის ისეთი გეგმა, რომლის მსგავსი არა აქვს არც ერთ ევროპის „განათლებულ სახელმწიფოს“.

არ მოეპოება არც ყველაზე მოწინავე ამერიკასაც.

ისტორიული წინადადება

ერთ მშვენიერ დღეს საქართველოს უმაღლეს სამეურნეო საბჭოს თანამშრომელმა ინჟინერმა მ. კობაძემ წარუდგინა პრეზიდენტს მოხსენება დასავლეთ საქართველოში ახალი ჰიდროცენტრალების აშენების შესახებ, რომელმაც უნდა მოგვეცეს სუთი მილიონი ცხენის ძალის ელსადგურები ენგურზე, ცხენის წყალზე, რიონზე და მტკვარზე...

მათში მარტო ზემო მტკვრის სადგურმა უნდა მოგვეცეს ორი მილიონი და ორას-ორასორმოცდა ათი ათასი ცხენის ძალიანი ელსადგური.

ეს ხომ პირველი ჰიდროგეანტი იქნება მთელს დედამიწაზე!

როცა დაწვრილებით გაეცნენ გეგმას, გამოიკვცა გასაოცარი ამბები:

ინჟინერ მ. კობაძეს განუზრახავს შეერთება ენგურის, ცხენის წყალთან, რიონთან და მტკვართან და მიღებული წყალვარდნილებიდან ახალი ელსადგურის აშენება...

ასეთმა გასაოცარმა გეგმამ დიდი მითქამოთქმა გამოიწვია.

ამხ. კობაძეს ფანტაზიორი უწოდეს და კინაღამ იქვე მიიტანეს მის გონებრივ მდგომარეობაზე, მაგრამ არ შედრკა შეუდარებელი მშენებელი.

მან უზრალოდ და სრულიად დამარწმუნებლად მოხაზა რუკა ამ მდინარეთა შეერთების პრაქტიკული შესაძლებლობისა და ანაირად საბჭოთა საქართველოს უახლოეს მორიგ ამოცანად დაისვა მთელს დედამიწაზე უძლიერესი ჰიდროცენტრალის მშენებლობა.

ამხ. მ. კობაძის გეგმა მოიწონეს და დაარსდა საგანგებო კომიტეტი ამ დიდ საქმის გასაძლიერად.

ანაირად ამხ. კობაძის გეგმას მოზორდა ყოველ ისტორიულ დიად საქმისათვის სრულიად გასაგები ჭორი და საბჭოთა საქართველომ ხელი მოჰკიდა გეგმის შესრულების დაახლოვებით შესწავლას.

ამხ. კობაძის გეგმის მთავარი დებულებანი

თავისი გასაოცარი გეგმისათვის, მშენებელს გამოყენებული აქვს ენგურის, ცხენის წყალის, რიონის და მტკვრის დენის რელიეფი, წყალთა წლიური მარაგი და სააღმშენებლო მასალათა ადგილობრივი რესურსები.

ეს მდინარეები ისეთ სხვადასხვა მალლო ბებიდან გამომდინარეობენ და მათ შორის წყალვარდნი წერტების ისეთი ხელსაყრელი მდგომარეობა არის, რომ შესაძლებელი ხდება ერთიდან მეორეში წყლის გადაწევა, გვირაბების საშუალებით, მოწყობა სხვადასხვა ადგილას უდიდესი ხელოვნური აუზებისა, რომლებიც დასველებული წყალი უზრუნველყოფს ელსადგურებს.

საქართველოს მდინარეები იძლევიან განუზღვრულ უამრავ წყალს, გადმოდიან ნაპირებიდან და აოხრებენ ქვეყანას. ზაფხულში კი ზოგიერთი მათგანი მესამინევედ კლებულობს და ელსადგურებს ჰიდროძალის დანაკლისით ემუქრებათ. ამხ. კობაძე სწორი გამოანგარიშებით და მოქნილი ხაზით ერთბაშად და რადიკალურად სტრის ამ მდინარეების დამორჩილებას საკითხს. ის აწყობს უდიდეს აუზებს, რომლებიც დაიტევენ და შეინახავენ ზაფხულზე ზედმეტ წყლებს და მიაწოდებენ ელსადგურებს ამ მარაგს ზაფხულში, როცა ამის საჭიროება იქნება. ანაირად ის ქმნის მდი-

№	დასახელება	წინა მც.	სინთეზური უბ-ძალ.
1	ენგურ-ახალი-წყალი	360	600.000
2	ქაშვი	200	360.000
3	ქაშვი-ჭალა-შაქანა	235	500.000
4	რიონი-ჭოშა	150	560.000
5	სოთქას მე-2-ე რივის	60	120.000
6	წვლია რიონის ქ-ლის ხეობა	35	250.000
7	" " " "	25	196.000
8	" " " "	20-24	164.000
9	ჭალა მთიანეთი	910	2250.000



ინჟინერული
გეოგრაფიული



ენგურ-ცხენის-წყალ-რიონ-მტკვარის ნაკადების
შეერთების რუკა.
ზევით კუთხეში—პროექტის ავტორი
ინჟ. კ მ კ ა ძ ე

ნარევისათვის მთელი წლის განმავლობაში სასურველ რეჟიმს და ამ შემთხვევაში მართლაც ეფუძნება მის ძალეს, სავსებით იმორჩილებს ტექნიკას.

ესლა მიყვებით გვეგვამს და თანდათანობით გაეცნოთ მშენებლობის ცალკე მომენტებს.

ენგურის უმართებავ ცხენის წყალთან

(წამომ. ენგურის საღებურში)

მათში, ენგურის ზემოთ, სადაც მას მდინარე დელურის მარჯვენა ნაწილი უერთდება, კეთდება ჯებირი, რომელიც დაგუბავს ენგურს. წყალი აიწვევს 130 მეტრის სიმაღლეზე, სოფელ ლექსურამდე, გვირაბი, აქვე მეორე დამხმარე გვირაბით გამოიყვანება ცხენის წყალი, რადგან ადგილი დაქანებულია, წყალი გვირაბში თვითმდინარეობით წამოვა ამნაირად შეერთებული ენგურისა და ცხენის წყალის ნაკადებისათვის აქ ადებული იქნება საერთო წნეგადი აუზი, 745 მეტრის სიმაღლეზე. ასეთ სიმაღლიდან დაშვებული წყალი იძლევა „ზემო ენგურის“ ელსადგურს, რომელსაც ექნება ექვსი ათასი ცხენის ძალა.

ზემო ენგურის ელსადგურის ყველა ხარჯები ნავარაუდევია 165 მილიონი მანეთი.

პირველი ელსადგური ცხენის წყალზე

(ლექსურა-ცაბერი)

ზემო ენგურის ელსადგურის არხიდან გამოსული ნაკადი, ცხენის წყალი და მისი შენართი მდინარეები გროვდება ერთ დიდ საერთო წყალსაცავში, რომელიც შენდება ცხენის წყალზე, სოფელ ლექსურასთან. აქ ცხენის წყალი გადაიკუმბება ასხუმებტ მეტრაინ ჯებირებით.

აქედან წყალი ეშვება 200 მეტრის სიმაღლიდან და ამუშავებს „ლექსურა-ცაბერი“ ელსადგურს, რომელიც იძლევა სამას საშოკო ათასი ცხენის ძალას.

ამ ელსადგურზე დაახლოებით დაიხარჯება 89 მილიონი მანეთი.

მეორე ელსადგური ცხენის წყალზე

(ცაბერი-ჰაღლის)

ამნაირად ენგურ ცხენის წყალის და უკანასკნელში შემავალ მდინარეთა ერთ სისტემაში მოქცევაზე უკვე ამბობრავა ორი ელსადგური. ამ. კოპაძე გვეგვამს გადამუშავებულ ნაკადების ისევ გამოყენებას ცხენის წყალზე ცაბერი-ჰაღლის მიდამოებში ახალი ხელოვნური წყალგარდინის მოწყობით. აქაც უნდა აშენდეს. ჯებირი 130 მეტრის სიმაღლეზე. ამ აუზიდან წყალი გვირგვინებით გადის როინის ხეობაში, სოფელ მექვენამდე. წყალი გარბოვდება აუზში და 250 მეტრის სიმაღლიდან ეშვება ხუთასი ათას ძალიანი ელსადგურის ტურბინებში... ცაბერი-ჰაღლის ელსადგური დაჯდება 130 მილ. მანეთი.

ინგურის და ცხენის წყალი რიონს უერთდება

(ელსადგური „ტომა“)

ცხენის წყალზე ცაბერი-ჰაღლის ელსადგურის ამუშავების შემდეგ წყალი მოკლე გვირაბით როინის ზედა შტოს უერთდება. ეს ქმნის ჰიდროსაქმის ახალ მძლავრ შესაძლებლობას. როინის მდინარეში მდინარეების ზემოთ, ერთი კილომეტრის დაშორებით, როინზე აგებული იქნება ჯებირი, რომელიც დაგუბავს როინს და ასწევს წყალს სოფ. მექვენამდე. ეს იქნება როინის მდინარეების ზემოთ. ამ წყალსაცავს შეავსებს ინგურის ცხენის წყალის შენართი და თვით როინი. უამრავი წყლის მარაგი საშუალებას იძლევა აგებულ იქნას აქ თვით ჯებირთან უძლიერესი 560 ათასი ცხენის ძალის ელსადგური. ადგილმდებარეობის და ჰიდრორესურსების მეორებით, ეს ელსადგური როინის ყველა

ელსადგურებზე ძლიერი და თანაც ადვილი ასაგები იქნება. ამიტომ ის მოგვიკითხეთ ყოველზე უფრო იაფ ენერჯისა. სადგურის აგება დაახლოებით უნდა დაჯდეს 8 მილიონი მანეთი.

მეორე ელსადგური რიონზე

(მეორე რიონის რიონსისი)

რიონის ამუშავდება „ქომის“ ელსადგურის ქვემოლ მიმდინარე როინის ძალით. ენგურისა და ცხენის წყალის როინში გადაშვების შემდეგ კი როინის მთავარი არხი ვერ დაიტევს ამ შეერთებულ ნაკადს, ამიტომ საჭირო ხდება მეორე არხის გაყვანა. აქ მოეწყობა ახალი ელსადგური, რომელსაც ექნება 120.000 ცხენის ძალა.

მტკვარის რიონში გადადის

(წამომ. მტკვარის ელსადგურში)

ყველა ეს სადგურები დაგეგმა ამხ. კოპაძემ მდინარე როინის აუზის არეში. როგორ დაგინახეთ, მას ერთმანეთში გადაკეცავს უღელტეხილის იქით მხარეს მდებარე ნაკადები და ლეზულობის ერთი სისტემის ჰიდროცენტრალებს. ეს გეგმა მშენებლობის მეტად გაბედული აზროვნების ნაყოფია, მაგრამ, როგორც გამაერთიანებელი შვე ზღვაში ჩამავალ მდინარეებსა, — თითქმის ადვილი წარმოსადგენია. ამ შემთხვევაში კონცენტრაციას განიცდის წყალგამყოფის ერთი მხარის გილორ ძალები. უფრო გასოცადია და ერთი შეხედვით თითქმის დაუჯერებელია ის, რომ ინჟ. კოპაძე ამავე ფარგლით გადმოღობს უღელტეხილს აქეთ, სწვდება ზემო მტკვარს, რომელსაც სრულიად სხვა „ასავალი ჩასავალი“ აქვს, რომელიც იწყება სათათრეთში და თავდება კასპიის ზღვით...

ინჟ. კოპაძის გეგმით გამოწვეული საერთო ინტერესი და განცდიერება უმთავრესად იხსნება სწორეთ მტკვარის როინში გადაშვებით, რაც ფაქტით იქვეა და რის შესაძლებლობა ნიჭიერმა ტექნიკოსმა გამოკვლევებით დაამტკიცა.

ეს საქმე დაჩრდილავს მსოფლიოში ოდესმე არსებულ ჰიდრო მშენებლობის ობიექტებს. „ზემო მტკვარის“ სადგურს განზე ჩამოუდგება აილ-მალინის სადგური კანადაში და ამერიკის ყველა სადგურები. „ზემო მტკვარი“ მოგვცემს ორი მილიონი და ორას ორმოცდა ათი ათას ცხენის ძალას. მისი წყალ ვარდნილი იქნება 910 მეტრი.

როგორ აპირებს ამხ. კოპაძე ამ გასოცარი საქმის შესრულებას, მტკვარის ნაკადის ასე ძლიერად მოხილად „გამაზავრებას“ უღელტეხილის მწვერვალთა იმერეთის დაბლობისაკენ?

მტკვარის ზემო ნაწილმა მიიპყრო მშენებლის დიდი ყურადღება, რადგან მტკვარი აქ წარმოადგენს განსაკუთრებით საინტერესო ჰიდრო-მასალას, როგორც წყლის მარაგით და ძალით, აგრეთვე მისი გამოყენების შესაძლებლობით. სწორედ ამ მიმართულებით, სოფ. აწყურში აგებული იქნება 130 მეტრის სიმაღლეზე უმძლავრესი ჯებირი, რომელიც დაგუბავს მტკვარს. ჯებირის ზემოთ გაჩნდება დიდი წყალსაცავი. მისი ფართობი იქნება 130 კვადრატული კილომეტრი. ამ ზღვის მსგავს ეგებრთელა აუზში გროვდება ორნახევარი მილიარდი კუბომეტრი წყალი, ეს უმძლავრესი ფაქტორი მსოფლიოში პირველი ჰიდროცენტრალისა წყალი აიწვევს 500 საფენის სიმაღლეზე. ამ უზარმაზარ წყალსაცავიდან გაყვანილი იქნება, უღელტეხილის გასწვრივ, 42 კილომეტრის მანძილზე გვირაბი. ამ გვირაბში წყალი, მაღლობზე ვაგლენით, თავისივე ძალით წავა მდინარე ყვირილას დაბლობისაკენ. მდინარე საკრეულასა და ხანისწყალს შუა ეწყობა აუზი, რომელიც დაიტევს სამი მილიონ კუბომეტრ წყალს. აქედან წყალს გადაუშვებენ ნიადაგ ქვეშ მდებარე ტურბინებში 910 მეტრის დაქანებით და ის

მსოფლიოში უდიდეს ელსადგურს ამუშავებს.

გამოყენებული მტკვარის წყალი აქედან უერთდება გვირაბით მდინარე ყვირილას, უკანასკნელი კი ერთვება ჰერონის ხეობაში, როგორც ზემოთ დაგინახეთ, უნდა შეერიოს ენგური და ცხენის წყალი. ესაა დიდო გვირაბი დაჯდება დაახლოებით 393 მილიონი მანეთი. ჯებირი მტკვარზე აწყურთან 63 მილიონი, გვირაბი კი, უღელტეხილის მიმართულებით, 148 მილიონი მანეთი.

კიდევ სამი ელსადგური მშენებ

ახალი მდინარეებით გაძლიერებული ქვემო როინი, რომლის „რიონსისი“ დაბოლოების გამოყენების საკითხი აქამდე არ იყო გამოკვლეული, ამხ. კოპაძის გეგმით საინტერესო ხასიათს ღებულობს. როინის ასეთი ზრდა ხდება სწორედ ისეთ რაიონში, სადაც ახლო მომავალში უნდა გაჩაღდეს უდიდესი ინდუსტრიალური მრეწველობა. აქ ჰიდრობაზის ძირის საკითხი როინის ამ ნაწილის ჰიდროძალის გამოყენების შესახებ. ამხ. კოპაძემ ეს საკითხი გადასჭრა ელსადგურების აგებით სწორედ იმ ადგილიდან დაწყებული, სადაც როინს ერთვის ყვირილი და ცხენის წყალი. ამ მიმართულებით უნდა მოეწყოს სამი გიდრო სადგური. საერთო შეჯამებით 400.000 ცხენის ძალისა ასეთია, საერთო გადმოცემით, ამხ. კოპაძის გეგმის შინაარსი ჰიდრო-ენერგეტიკული მხრით.

ამხ. კოპაძის გეგმა და „კოლხეთის“ პრობლემა

ეს გეგმა გადამჭრელი ხდება თვით „კოლხეთის პრობლემისათვისაც“.

„კოლხეთის პრობლემა“ წარმოადგენს სოციალისტურ მშენებლობისათვის უდიდეს სამეურნეო ამოცანას. მასთან დაკავშირებულია ნედლეული მძლავრი ბაზის შექმნა ჩვენი ინდუსტრიისათვის, სოციალისტური რეკონსტრუქცია საქართველოს სუბტროპიკებისა...

როგორ სწყვეტს ამ საკითხს ამხ. კოპაძე? უზარმაზარ წყალსაცავებით დაგროვდება გაზაფხულის ნიადაგები და ნაკადები. ეს წყალსაცავები „მოარჯულებენ“ როინს და ცხენის წყალს, ისინი ვეღარ გადმოვლენ ნაპირებიდან.

უამრავი წყლები, რომლებიც გაზაფხულზე უბედურებათ ეგლინებიან ჩვენს დაბებსა და სოფლებს, შემონახული იქნება ამ აუზებში და ზაფხულობით და ზამთარში, როცა მდინარეების ძალა კლებულობს, — გაძლიერებენ ელსადგურების მუშაობას, ესლა როინის კალაპოტი დაბლობებში, ორპირიდან ფოთამდე, ამაღლებულია მილამოვთან შედარებით, ამიტომ როინი სამიშია მეურნეობისათვის. ის მუდამ წყალდიდობით ემუქრება მოსახლეობას. ელექტრო ძალის დიდი მარაგი მეტად აადვილებს როინის გაღრმავებას.

ელექტრონი ამუშავებს როინზე უდიდეს ელექტრო-ნიჩბებს როინის ძირის გასაშენდათ. მდინარე დაიწვევს ერთი-ორი მეტრით, სკი დააქვეითებს ნიადაგის წყლებსაც...

ამ პერსპექტივებით ინვენერი კოპაძე უზრუნველყოფს როინზე ნაოსნობას.

ის რადიკალურად სწყვეტს საკითხს კოლხეთის ისტორიულ ჭაობების ამოშრობის შესახებ.

ის სამუდამოდ სპობს კოლხეთის რატანჯული მოსახლეობის განმანადგურებელ ციებ-ცხებლებს.

საქართველოს ახალი ჰიდრო-ცენტრალები უნდა გაიხორციელდეს მეორე ხუთწლიში.

თბილისა უკან მოიბრუნა კელნი

(მსოფლიო გეგდვითი სიტყვის გამოფენის გამო)



ოთხი წლის წინ გაიმართა ბექდვითი სიტყვის პირველი გამოფენა კელნში (გერმანია), ოთხი წლის წინ მთელი მსოფლიოს პრესა საცხე იყო წერილებით და ანგარიშებით ამ გამოფენის შესახებ.

კელნი გამოაცხადეს თანამედროვე კულტურის სიდიადისა და ძლევამოსილების სიმბოლოდ, ადამიანის აზროვნების ცენტრად, სამყაროს ცენტრად.

ხმაურში და განგაშში, ზეიმსა და ბრჭყვი ალა მორთულობის სამოსელში კეთდებოდა უსათუოდ დიდი მნიშვნელობის საქმე.

მთელი მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილი იყო კელნისაკენ. თვით კელნში კი, ძველ რეინზე იმართებოდა მაღალი რკინა-ბეტონის კოშკი. და მირიადი ნათურები, უწყნაური სინათლის რეკლამები, რომლებიც თავისი ენით ლოკავდნენ ცას, ფერადულად ისახებოდნენ ძველი რკინის წკლებში და ამ ფონზე კელნის ახალი

კოშკის ჩრდილი იზრდებოდა უსართულოდ — მდინარიდან ცისკენ.

.. და კელნში გახდა ორი საოცრება: საშუალო საუკუნეების საკრებულო ტაძარი და ახალი კოშკი — პრესის და „პრესის“ (გამოფენის) სიმბოლო.

ეგონათ, რომ ვერაფერი დაჩრდილავს კელნის „პრესის“ ბრწყინვალე სახელს. ეგონათ, მაგრამ.. მხოლოდ ეგონათ..

გამოფენა გაიხსნა მისში. ორი თვის შემდეგ კი გამოფენის დირექტორი ტაპკერი იძულებული იყო ეღიარებია:

„... იმ 104 ენის რიცხვს, რომელზედაც თქვენ უკვე გავეთვა ვაზეთების ნიმუშები, ჩვენ ვერ მივალფიეთ“.

ამ დროიდან შეიჩა კელნის სახელი, შეიჩა ვერ შეუჩინველად, შემდეგ უფრო და უფრო ძლიერად, შეიჩა და დღემო. კელნის გამოფენის დირექტორის ტაპკერის წერილი შემოთმთყვანილი ფრაზით

თქვენ შეგიძლიათ წაიკითხოთ „ქუჩისწინა“ ში მუშუკოპის ყოფ. პასაჟში, რომელიც პრესის გამოფენა, მთელი მსოფლიოს ეროვნებათა ბექდვითი სიტყვის გამოფენა. ამ გამოფენაზე სწერდა ვერ კიდევ ოთხი წლის წინად კელნის „პრესის“ დირექტორი.

მხოლოდ ამ, თბილისის „პრესას“ აქვს არა 104, რამდენიც ჰქონდა 1928 წ., არამედ უკვე 206 ენის ბექდვითი ექსპონატები. და არა 90 ქვეყანა არის წარმოდგენილი ამ თბილისის გამოფენაზე, რომელიც არ გამოვიდა, არამედ 287 ქვეყანა.

თბილისის „პრესა“ კეთდება ხმაურისა და განგაშის გარეშე. კეთდება უფრო ჩუმი, ვიდრე საქირაა, ვიდრე ის არის ამის დროს.

მაგრამ მისკენაც მიპყრობილია მთელი მსოფლიოს ყურადღება, იგი ცნობილია ბევრად უფრო შორს იმ ქვეყნებს გარეთ, რომლებიც წარმოდგენილი იყვნენ კელნის გამოფენაზე.


თბილისის „პრესის“ მთავარი მიზანია — მთელი მსოფლიოს ბექდვითი სიტყვის ჩვენება, არა მარტო „ბატონების“ — ეგროპის და სხვ. „მთავარ“, ყველაზე კულტურულ და ყველაზე მძლავრი ხალხების, არამედ აგრეთვე, ყველა ჩაგრული, კოლონიალური და ნახევრად კოლონიალური ხალხების, მსოფლიოს ყველა ეროვნულ უმცირესობათა. ყველა აქამდე „დავიწყებულ“ ხალხების ბექდვითი სიტყვის ჩვენება.

კელნმა გვიჩვენა მხოლოდ ყველაზე უფრო დიდ, მძლავრ, კულტურულ ხალხების ბექდვითი სიტყვა, კაცობრიობის უმცირესობის — „ბატონების“ ბექდვითი სიტყვა. კაცობრიობის უმრავლესობის — მონების“ ბექდვითი სიტყვა დავიწყებული იქნა.

მაგრამ არ არის დავიწყებული თბილისის მიერ. თბილისის „პრესა“ გვიჩვენებს მთელი მსოფლიოს ბექდვითი სიტყვას. „ბატონების“ — მყელეფელების და მჩაგრელების ბექდვითი სიტყვის ფონზე ნაჩვენები იქნება ის პირობები, რომლებშიაც ცხოვრობს და ებრძვის თავის არსებობისათვის „მონების“ — კაცობრიობის უმრავლესობის ბექდვითი სიტყვა.

ყველაზე პატარა, ყველაზე უფრო დავიწყებულ, ყველაზე ნაკლებ ცნობილ და ზოგჯერ სრულიად უცნობ ხალხების ბექდვითი სიტყვა, ყველაზე პატარა ქვეყნების, შორეულ, ოკეანეში მიკარგულ კუნძულების, პირველყოფილ ტყეების და მთების უღრანებში დავიწყებულ ქვეყნების ბექდვითი სიტყვა, დედამიწის ყველა კუთხეების, ყველა ხალხების, ყველა ტომების ბექდვითი სიტყვა, ყველა კლასების, მიმართულებების, ყველა სახეების ბექდვითი სიტყვა წარმოდგენილია თბილისის გამოფენაზე, მთელი მსოფლიოს მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ბექდვითი სიტყვა ნაჩვენები იქნება აქ.

გრენლანდიის ესკიმოსები, ლაპარები, ისლანდიელები, ფარერელები, ბასკები, ბრეტონელები, რომანშები, კაშუბები, ვენდები, მალციელები, კორსიკელები, იტალი, სუაგელები ზულუსები, ქოზა, ბეჩუანები, ბასუტო, ლანდიმი, აბისინელები, მალაგასები ფრიზები, სამოალები, ვაგაელები, ფილპელები, მორიელები, ორიელები, ტელუგები, თამილები, კანარელები, სინდები, პენჯაბელები, კატე, ჯაბიმები, რაგეტები, ჩამორო, ლაოსნელები, კამბოჯოელები, ანამიტები, ბირმელები, ასსამელები, სიამელები, სინგაპურელები, ბატაკები, მენანკა ბუ, იაველები, ბიკოლები, პანგასინანელები, პამპანგა, აქლა, ტაგაელები ვისაიელები, ილოკაელები. პანაია და კიდევ მრავალი ათეული სხვა ხალხები, რომელთაც



ქ. მარქსის გაზეთი „რეინის ახალი გაზეთი“-ს უკანასკნელი ნომერი

ვეთი საკუთარი ბექდვითი სიტყვა ან ბექდ-
ვითი სიტყვის რაღაც მსგავსი რამ—ყველა
ისინი წარმოდგენილია თბილისის გამოფენა-
ზე, მთელ მსოფლიოს ეროვნებათა ბექდ-
ვითი სიტყვის გამოფენაზე.

ბევრს იცნობთ თქვენ დასახელებულ
ხალხებიდან? ზოგიერთები, ალბათ, არც
გამოვინათ!

გამოფენაზე ნაჩვენებია იქნება ისეთი
ქვეყნების ბექდვითი სიტყვა, როგორც
არის ალიასკა, გრენლანდია, იუკონი, ის-
ლანდია, ფარერი, ლაპლანდია—ჩრდილოეთ-
ში, ახალი გვინეა, პაპუა, მადაგასკარი და
ახალი ზელანდია სამხრეთში, ბელგიის კონ-
გი, ანგოლა, სუდანი, ეკვატორიალური
აფრიკა, ოქროს ნაპირი, გვინეა, ბასუტო-
ლანდი, ზულოლანდი, ნიასა, ზანზიბარი,
უგანდა, კენია, ტანგანიაკა, მოზამბიკი,
ბერია, როდესია, სამხრეთ-დასავლეთი აფ-
რიკა, მაროკო, ტუნისი, ალჟირი, ტრიპო-
ლი, ერთრუბა და სხვ.—აფრიკაში, ფიჯი,
სამოა, ვაგაი, გუამი, ახალი ბრიტანეთი,
ტაიტი და სხვ.—ოკეანაში, ვინცენტი,
ანტიგუა, ბერმუდი, ბარბადოსი, ტრინიდა-
დი, სურინამი, გვიანა, კიურასასი, პორტო-
რიკო, კუბა, ლიუარდი, სან-პიერ, გაიტი,
დომინიკა, ხრისტოფერ და სხვ.—მესტ-
ინდოეთში.

ისეთი ხალხების ბექდვითი სიტყვა, რო-
მელთაც არა აქვთ იგი ამჟამად, მაგრამ
წინად უცდიათ მისი შექმნა: პაპუასებო-
ანელე; სამხრეთ-ამერიკელი ინდიელები—
კეჩუა, ვილიაკები, ჩვენი ამიერ-კავკასიელი
ზოგები და ათეული სხვები. განსაკუთრე-
ბით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ავღა-
ნელებს სამშობლო ენაზე არა აქვთ გაზე-
ნი. ავღანელების მთელი ბექდვითი სიტყვა
გამოდის სპარსულ ენაზე. იყო მხოლოდ
ერთად-ერთი გაზენი, რომელიც გამოვიღო
საკუთრივ ავღანურ ენაზე — პუშტო.
ეს გაზენიც, რომელიც არის ავღანისტანის
ბექდვითი სიტყვის წინაპარი, წარმოდგენი-
ლია გამოფენაზე.

გამოფენა ბექდვითი სიტყვის გვიჩვენებს
არა მარტო „რევისტორიკის“ თვალსაზრი-
სით, იგი არა მარტო გვიჩვენებს იმას, რომ
ამა და ამ ენაზე არსებობს ბექდვითი სი-
ტყვა, არამედ გამოფენა გვიჩვენებს, თუ
როგორ ცხოვრობს და იბრძვის ესა თუ ის
ხალხი, როგორ პირობებში იქმნება და არ-
სებობს მისი ბექდვითი სიტყვა.

გამოფენის ისტორიული განყოფილება
იწყება უფველესი გაზეთებით—1570 წლიდან
—გერმანული, პოლანდიური და სხვ. გაზე-
თები რუსეთის პრესა—მეფის პირველი
ხილონაწერი გაზეთებით 1621 წლიდან,
(როცა გამოვიდა პირველი „კურანტი“—
ხელნაწერი გაზეთი).

რევოლუციონური განყოფილება —
კარლ მარქსის გაზეთი—„ნოვ რეინიშე
ცაიტუნგ“—1849 წ.

კოლონიალური, მცირე, შორეულ და სა-
ბჭოთა ხალხების ნაციონალური პრესა თი-
თქმის მთლიანად წარმოდგენილია პირველი
ნიშუებით. კარგად არის წარმოდგენილი
აზერბაიჯანის პრესა, ნაწილობრივ — სო-
შხეთის, მაგრამ არაფერად ვარგა საქართვე-
ლოს განყოფილება.

ეს უმთავრესად არის ბრალი ჩვენი, სა-
ქართველოს ორგანიზაციების და დაწესე-
ბულებების, რომლებიც სათანადო დანაზრე-
ბას არ უწყვენ დიდ საქმეს, რასაკვირვე-
ლია, კიდევ არის დრო, მაგრამ ჩვენი ორ-
განიზაციები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები,
არქივები — უნდა ამოქმედდნენ.

არ უნდა განვიორდეს შემთხვევა, როცა,
მაგალითად, არქივის დირექტორმა თითქმის
გამოვადო გამოფენის ხელმძღვანელი, რო-
მელიც მას გამოფენისათვის სთხოვდა დუბ-
ლირებს. მუზეუმმა გამოჰყო ათეული ჩვეუ-
ლებრივი გაზეთები, რომლებიც ყველგან
ათასობით იშოვებდა. მხოლოდ ქუთაისმა
შეგვიწყო ხელი, მაგრამ ეს როდი არის სა-
კმა.

და იქნება მდგომარეობა, რომ ბელგიის
კონგოს, ვაგაის, ზანზიბარის და სხვ. ბექდ-

ვითი სიტყვა წარმოდგენილია სრულად.
საქართველოს ბექდვითი სიტყვა კი, სადაც
გამოფენა ეწყობა, უფრო კუსტადაა წარმოდ-
გენილი, ვიდრე ყველა სხვა ქვეყნების..

გამოფენა დიდ მეცნიერულ მუშაობას
აწარმოებს. იგი აწარმოებს მსოფლიოს ყველა
ცოცხალ სალაპარაკო ენების აღრიცხვას.
ამგვარი მუშაობა მსოფლიოში სწარმოებს
პირველად ჯერ-ჯერობით მოგვეპოება
ცოცხალი ენების 2.540 ბარათი და რამდენ-
ნაშე ასეული მეცდარი ენების ბარათი.

გამოფენაზე სწარმოებს დამწერლობის
ენების (ჯერ-ჯერობით 1.000-მდე) და პე-
როდული ბექდვითი სიტყვის ენების (ნა-
ციონალური — 169, არანაციონალური,
მკვდარი და სხვ., რომელზედაც მოიპოება

ნაციონალური პოლიტიკის შედეგები

ციცხალი ენები	მთელ მსოფლიოში
ბექდვითი სიტყვის ენები	169 % ში: 6

ამრიგად, იმ დროს, როცა საბჭოთა კავ-
შირში საბჭოთა ხალხების 55 პროც. უკვე
აქვს საკუთარი ნაციონალური ბექდვითი
სიტყვა სამშობლო ენაზე, ბურჟუაზიულ
ქვეყნებში ასეთი აქვს მხოლოდ 5 პროც.

55 პროცენტი 5 პროცენტის წინააღმდეგ,
ასეთია საბჭოთა ხელისუფლების ნაციონა-
ლური პოლიტიკის შედეგი.

ეს, ასე უსთქვამთ. გეოგრაფიული მიდგო-
მით, ახლა შევხვდეთ ისტორიულად, პირ-
ველი ნაბეჭდი გაზეთი რუსეთში გამოვი-
და 1702 წ.

215 წლის განმავლობაში, ცარიზმის ხანა-
ში (1702—1917) არსებობდა ბექდვითი სი-
ტყვის მხოლოდ 22 ენა.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 15
წლის განმავლობაში შეიქმნა ბექდვითი სი-
ტყვის კიდევ 55 ენა.

ირლანდიის „თავისუფ“

სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ირლანდიული	სამხრეთ ოსეთის ავტ ოლქი
მოსახლეობა	3.000.000	60000
გაზეთები ნაც. ენაზე	2	4 (ყურნალებით)
№№ თვეში	3	24
რამდენ კაცზე მოდის ერთი №	1.000.000	2.500

სხვანაირად, რომ ესთქვამთ, სამხრეთ-ოსე-
თის ბექდვითი სიტყვა 400-ჯერ დიდია,
ვიდრე ბექდვითი სიტყვა ირლანდიაში.

აი სად არის ნამდვილად ჩვენი, ჯერ
არავის მიერ არმიღწეული, მათთვის მიუ-
ღწველი და შეუღარებელი წარმატებები.
კულტურულ ფრონტზე, განსაკუთრებით
ბექდვითი სიტყვის ფრონტზე არ შეუძლიათ
ჩვენი არა თუ გასწრება. დაწყევაც კი.

ჩვენი წარმატებები ასე დიდია, ასე მნიშ-
ვნელოვანია, მაგრამ რა ცოტა დიციტ ჩვენ
მის შესახებ!

ჩვენი გამოფენა ერთად-ერთი ორგანიზა-
ცია საბჭოთა კავშირში, რომელიც აწარ-
მოებს საბჭოთა ნაციონალური ბექდვითი
სიტყვის ენების აღრიცხვას და რეგისტრა-
ციას.

გამოფენასთან აწარმოებს გაზეთოგრა-
ფიის უმაღლესი კურსები, რომლებიც ამზა-
დებენ კადრებს და გამოფენის სამეცნიერო
მუშავეებს. კურსები გადასულია განსაკო-
მის გამგებლობაში და შესულია ვიწრო
სპეციალობის უმაღლეს სასწავლებლების
სისტემაში.

მოკლე ხანში განსაკუთრებით გაიხსნება
აგრეთვე მთელი მსოფლიოს ეროვნებათა
ბექდვითი სიტყვის და დამწერლობის სამეც-
ნიერო - საგამოკვლევო ინსტიტუტი, სადაც
თავმოყურად იქნება გამოფენის მთელი სა-
მეცნიერო და სამეცნიერო - საგამოკვლე-
ვო მუშაობა.

თვით გამოფენა ვარაუდით განზრახულია
გაიხსნას 1934 წ. გამოფენაზე წარმოდგე-
ნილი იქნება არა მარტო პერიოდული, არა
მედ აგრეთვე არამერიკული ბექდვითი
სიტყვა, წიგნი, პლაკატი და მთელი დამხ-

ან მოიპოვებოდა ბექდვითი სიტყვა — 37,
სულ — 206) აღრიცხვა და ჩვეულებრივად.
ეს მუშაობა ერთად-ერთია მსოფლიოში.
ერთად-ერთი და პირველი.

თითული ხალხის თითული ქვეყნის,
ბექდვითი სიტყვის ისტორია, დამწერლო-
ბის და კულტურის ისტორია, აგრეთვე
წარმოდგენს გამოფენის მუშაობის საკმარის

ამ მუშაობის შედეგად შეიქმნა ახალი
დარგი, რომელსაც ჯერ-ხანად ეწოდა „ბექ-
დვითი სიტყვის გეოგრაფია“, და ქვედარგი
— „საგაზეთო გეოგრაფია“.

მაგრამ გამოფენის ფაქტობრივ შედეგს წარ-
მოადგენენ ჩვენი ნაკრები ცნობები, შედე-
გები და პარალელები:

ბურჟუაზიულ ქვეყნებში	საბჭ. კავშირში
2440	140
113 % ში: 5	77 % ში: 55

ახლა შევადაროთ ბექდვითი სიტყვის
ენების შექმნის ტემპი:

ცარიზმის დროს: ერთი გაზეთი ახალ
ენაზე — ყოველ 9 წლისა და 9 თვის შე-
მდეგ.

საბჭ. ხელისუფლების დროს ერთი გაზეთი
ახალ ენაზე — ყოველ 3 მეოთხედ თვეში.

აი საუფროსად ილიუსტრაცია ამხ. სტა-
ლინის სიტყვების:

„პროლეტარიატის დიქტატურისა და სო-
ციალიზმის მშენებლობის პერიოდი საბჭო-
თა კავშირში არის პერიოდი შინაარსით
სოციალისტური და ფორმით ნაციონალური
კულტურების აყვავების პერიოდი“.

შემდეგ გამოვიყენოთ მივყევართ შემდეგ
მოთულებულ შედარებაზე:

სახელმწიფო ირლანდიული	სამხრეთ ოსეთის ავტ ოლქი
3.000.000	60000
2	4 (ყურნალებით)
3	24
1.000.000	2.500

მარე ნაბეჭდი მასალები. დაწყებული შესა-
ხვევი მასალით და ეტიკეტებით. გარდა
ამისა — პოლიგრაფიული ტექნიკა, მანქა-
ნები, აპარატები, მასალები და სხვ.

არც ერთი დარგი, არც ერთი სფერო,
დაკავშირებული ბექდვითი სიტყვასთან —
კავშირი, ტრანსპორტი, ფოტო, კინო. რა-
დღია — არ იქნება დავიწყებული და გამო-
ტოვებული გამოფენაზე.

ამრიგად ეს გამოფენა იქნება არა მარტო
ბექდვითი სიტყვის გამოფენა ამ სიტყვის
ვიწრო მნიშვნელობით, არამედ კულტუ-
რის გამოფენა ამ სიტყვის ფართო მნიშვნე-
ლობით.

ამ გამოფენაზე ჩამოსვლას აპირებს 80.000
ზე მეტი უცხოელი სტადასხვა ქვეყნები-
დან.

ჩვენი გამოფენა, რომელიც ასე კარგად
ცნობილია თითქმის ყველგან უცხოეთში,
სამწუხაროდ თითქმის უცნობია სწორედ სა-
ქართველოში, კერძოდ თვით თბილისში,
სადაც იგი იმართება.

თბილისი არ გაიმეორებს კელსს, მის
ბრჭყვიალა მორთულობას, განგაშს, მაგრამ
არ გაიმეორებს იმ ნაკლსაც, რომელსაც ად-
გილი ჰქონდა კელსში. კელნი იყო მხო-
ლოდ ყველაზე უფრო კულტურული ქვე-
ყნების — კაცობრიობის უმცირესობის ბექ-
დვითი სიტყვის მსოფლიო გამოფენა, თბი-
ლისი კი აწყობს მსოფლიო ბექდვითი სიტ-
ყვის, უცლებლოდ მთელი კაცობრიობის ბექ-
დვითი სიტყვის გამოფენას.

არა კელნი და თბილისი, არამედ თბილი-
სი და კელნი..

თბილისი პირველ ადგილზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ ბოლშევიკური ავანტიურა კრა-
ხით დამთავრდება ეს ყოველგვარ იმეს
გარეშება.
(კადეტების „რჩ“, 1917 წ. 25 ოქტომბერი)
„ბოლშევიკური რევოლუცია განწირულია
დასალუპავად არა სამხედრო ძალისაგან,
არამედ შინაგან ავადმყოფობისაგან, რო-
მელიც ღრღინს მას ბოლშევიკების „სა-
ხელმწიფო“ მოღვაწეობის პირველი წუ-
თებიდან. ეს ავადმყოფობა არის — ობიექ-
ტური პირობების, ობიექტური საფუ-
ძვლების უქონლობა მათი ძალაუფლები-
სათვის“.
(6. სტახანოვ „ნოვია უიზნ“, 1917 წ. 29
ოქტომბერი)
„ის რაც მოჰყვება ბოლშევიკების ხან-
მოკლე გამარჯვებას — იქნება ამბოხე-
ბულ მემჩანების ზეიმი. ეს იქნება კო-
მუნის დახვრეტაზე უარესი. ეს იქნება
პოჯრომი“.

(სტ. ივანოვიჩი, „დენ“)
„გამოირკვა, თუ რამდენად მართალი
იყავით ჩვენ. სავსებით ნათელია, რომ
საბჭოთა ხელისუფლება ვერ შესძლებს
მის მიერვე აწერილი საერთაშორისო
მდგომარეობიდან თავის დაღწევას, ისე,
როგორც ვერ დააღწევს იგი თავს მის
მიერ გართულებულ შინაურ არევი-
რებისაგან“.

(1918 წ. „ეინსტეი“)
ასე სწერდენ საბჭოთა ხელისუფლების
მომავალზე პროლეტარიატის ყველა მტრე-
ბი, დაწყებული რუს კადეტებით და ვათა-
ცებული ნეგრატინიკებით მენშევიკ-ინ-
ტერნაციონალისტებით, „ნოვია უიზნ“-ი-
დან.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების უხ-
ლოც დღეებში, კვირებში და თვეებში
დამხობის იმედები არ გამართლდა. შიშვე-
ლი, ტიტველი, მშვირ-მწყურვალი მშრო-
მელი, მასები არშემორტყმული უამრავი
ულმობელი მტრებით, თავგამოდებით იცავ-
დნენ თავისუფალი ცხოვრებისა და შრომის
უფლებას. ისინი კი, ვინც იმედოვნობდა
რომ საბჭოთა ხელისუფლება ორ-სამ კვი-
რაში დაეშობა, დამის წყევდიადში ჩემით
ძიბარებოდნენ ზოგი კონტრ-რევოლუციო
ნურ გენერლების სამფლობელოში, აფარებ
დნენ თავს პეტლიურას, სკოროპადსკის.
კორნილოვს, ზოგი კი ამიერ-კავკასიის დე-
მოკრატიულ „ოახსიებში“ დაშნაკურ სომ-

ხეთში, მუსავატისტურ ანერბეჯანში ან
ჟორდანია-რამიშვილის საქართველოში.
ზოგიერთებს უკვე მამინ შეეპარათ იპვი
იმაში, რომ ამ დაუსრულებელ სირხილს
ბოლშევიკებისაგან ოდესმე მოეღება ბოლო:
Бежать? Но, куда?
Вечно бежать невозможно,
На время не стоит труда.
მაგრამ თეთრ გენერლებს, ზურგ-გამაგ-
რებულთ 14 დიდ და პატარა იმპერიალის-
ტურ სახელმწიფოს დახმარებით, ტანკებით,
ჯავშნოსნებით, ხარბახნებით და ტყვია-
წამლით. იმედი ჰქონდათ, რომ სულის შე-
ბერვით გაპაჟანტადენ „ბოლშევიკურ ბან-
დებს“.

— რევოლუცია უიმედოთ ჩაფლავდა,
განაცხადა გენ. დენიკინმა 1919 წ. ივლის-
ში, თეთრგვარდიელ გენერლის ამ ტრა-
ბახს თითქოს საფუძველი ჰქონდა, თეთრი
არმიები მიიწვედნენ პროლეტარულ ცენ-
ტრებისაკენ, რომ დაეღრჩოთ რევოლუცია,
ბანდიტა შკურომ მიიღო ბრძანება დაეძრა
თავისი პოლკები მოსკოვისაკენ.
თეთრი პოეტები აღაფრთოვანა გენერ-
ლის იმედებმა.

Сейчас мы слышим скорбный стон...
Но этих чаш заздравный звон,
Как вещей символ нам звучит,
В сердцах уверенность роdit,
Что скоро грянет звон другой—
Со всех церквей земли родной,
С высот зубчатого Кремля.

ასე სწერდა 1919 წ. თეთრგვარდიელი
პოეტი კორხიუკოვი გაზეთში „პრიაზოვ-
სკი კრაი“.

მაგრამ საბჭოთა კავშირის გმირულმა პრო-
ლეტარიატმა მშრომელი გლეხობის აქტიუ-
რი დახმარებით ერთი მეორეზე გაანადგუ-
რა იუდენიჩი, კოლჩაკი, დენიკინი, ვრან-
გელი და რუსეთის სხვა „მხსნელები“, გა-
დაყარა ისინი ზღვაში, გახვეტა ისინი სტამ-
ბოლის, სოფიას, ბელგრადის, პარიზის და
ბერლინის ქუჩებში.

მაგრამ ისტორიის სანაგვე ყუთში მოხვე-
დრილი ბანდა მიინც არ ჰკარგავდა იმედს.
მათ მთელი იმედები გადაიტანეს ახალ ეკო-
ნომიურ პოლიტიკაზე, დაწმუნებული იყე-
ნენ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა
გზას გაუწმენდს ძველის რესტავრაციას.



კრიზისიდან გამოხვლის ძებნაში ამერიკის
ბურჟუაზიამ სცენაზე წამოაყენა საკუთარი
ჰიტლერი. მისი ნამდვილი სახელი ად გვა-
რია—ვალტერ უიტერსი. იგი ათასგვარ
„შედნიერებას“ პირდება მშრომელ მასებს,
მაგრამ ანავე დროს აცხადებს, რომ „არ
მოითმენს არავითარ რევოლუციონარულ
დოქტრინას“.
სუბოტიზმ—უიტერს თავის ქომხრეებ-
თან ერთად

არავის ისე მკაფიოდ არ გამოუხატავს
ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე დამყარებუ-
ლი თეთრი იმედები, როგორც მენშევიკ-
ინტერნაციონალისტ მარტოვს:

„ლენინის ეკონომიური პოლიტიკა
არის ბონაპარტიტული სანხ-ბიურო-
კრატიული დიქტატურის პროგრამა... უნე-
ბლიეთ გინდა შესახო მას: ეკონომიური
ტერმინდორის გზით გასწიეთ პირდაპირ
პოლიტიკურ მე-18 ბრიუშერისაკენ“.
ბურჟუევის „ობშჩე დელო“ კი ხატაღდა
ბოლშევიკების განადგურების და რუსეთის
„აღდგენის“ „წარმტაც სურათებს“.

„ბოლშევიკების განადგურება ისეთი
იქნება, როგორც არ განუცდია არც
ერთ ხელისუფლებას ისტორიაში... დე-
ვერავინ და ვერაფერმა შეაჩეროს შუ-
რის მიძიებლების ხელი. მათ შურისძიე-
ბას ხსნა მოაქვს რუსეთისათვის, დე, ბოლ
შევიკების ხელისუფლების ახლოდღობი
ოთხი წლის თავი გახდეს იმავე დროს მა-
თი ბატონობის დასასრულად. ბოლშევი-
კებზე გამარჯვების შემდეგ რუსეთი ძირ-
ფესვიანად ამოგლეჯს მათ შხამინ ნა-
თესებს და სამუდამოთ შეუძლებლად გახ-
დის მათ აღდგენას“.


მაგრამ ზოგიერთებს უკვე არ სჯეროდა
ამ იმედებს.

Довольно, красоты не надо,
Не стоит песен подлый мир!
სწერდა თეთრგვარდიელი პოეტი ვლ.
ხოდასევიჩი იმავე 1921 წ.

საბჭოთა ქვეყანა შეუღდა იმპერიალის-
ტური და სამოქალაქო ომით მიყენებულ
ქრილობების აღდგენას, აღდგენილი პერიო-
დიდან გადავიდა რეკონსტრუქტიულ პერი-
ოდში. შეუღდა დიადი პირველი ხუთწლია-
ნი გეგმის შესრულებას.

ხუთწლიან გეგმას საზღვარგარეთ შეგ-
დნენ დაცინვით, როგორც ბოლშევიკების
მორიგ ფანტაზიას. მაგრამ ხუთწლიანი არ
აღმოჩნდა ფანტაზია. პროლეტარიატი კო-
მუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით
ენერგიულად შეუღდა საბჭოთა კავშირის
გადაქცევას ჩამორჩენილ აგრარულ მოწი-

იპარიალისტები ემზადებიან



ყველა იმპერიალისტურ ქვეყნებში გაფაცი ცებით ემზადებიან ახალი იმპერიალისტუ-
რია ომისათვის. სამხედრო ქარხნები განუწყვეტლევ მუშაობენ, სწარმოებს ახალგაზრ-
დობის გამლიერებული ვასამხედროება.
სუბოტიზმ—გენ. ვ. კონნორი, ამერიკის სახს. აკადემიის უფროსი იღებს აღლუმს.

ნავე ინდუსტრიული - აგროულ ქვეყანად, ახალი საზოგადოების საძირკველის შენებას.

მთელი იმედები გადატანილი იქნა ხუთწლიანი გეგმის ჩაშლაზე, იმაზე, რომ ბოლშევიკები ვერ შესძლებენ მის განხორციელებას მთლიანად, რომ „აქტივობლობა“ აიძულებს მათ უკან დაიხიონ:

„უცნაურად დღევანდელ ე. წ. სამეურნეო მუშაკების წრეებში უფრო და უფრო მეტად ლაპარაკობენ საბჭოთა მრეწველობის მშარველობის რეორგანიზაციაზე... ეს ლაპარაკი დაკავშირებულია ხუთწლიან ჩაფლავების ფაქტთან, რომელიც ემყარება გარეგან, მაგრამ ჯერ-ჯერობით მაღავენ“ („კოზროვნიკი“, 1929 წ. 9 სექტემბერი).

„შეიძლება მთელს კატეგორიულად გათვალისწინებულ დასვენებას, რომ ხუთწლიანი მთლიანად, როგორც მთელი სახალხო მეურნეობის გეგმა განხორციელებული არ იქნება, ვინაიდან იგი ანგარიშს არ უწყის ქვეყნის ეკონომიურ შესაძლებლობათ და ექსტრემალურება მისი განვითარების ტენდენციებს“ („სოც. ვესნიკი“, 1929 წ. 1 აგვისტო).

ამრიგად თეთრგვარდიელებს ბანს აძლევდნენ ყველა ჩვენი მტრები — უცხოეთში გადახვეწილი რუსი და ქართველი მენშევიკები.

მაგრამ სულ ჩქარა კაპიტალისტური ბანაკის ყველაზე კეთილსინდისიერი და შორს მჭვრეტელი წარმომადგენლებიც კი იძულებული შეიქნენ ელოდნენ შეცვალათ, იძულებული გახდნენ ფორმალად აეწონა-დაეწონათ ყველაფერი რაც საბჭოთა კავშირში ხდებოდა და მორიდებოდნენ ნაჩქარევ დასკვნებს ხუთწლიან ჩაფლავების შესახებ:

„ერთი ხანია ნათელი გახდა, რომ ყოველი ცდა იმის გაგების, თუ რა ხდება საბჭოთა კავშირში საგარეო და საშინაო პოლიტიკის დარგში ან რუსულ (ბოლშევიკური, ე. მ-მე) იდეის გაგების ცდა უნდა ემყარებოდეს ინდუსტრიალიზაციის ხუთწლიანი პროგრამის ახლადდგულ წარმატებებს, არც ერთი ფაქტი რუსეთის ისტორიისა თავისი მნიშვნელობით ვერ შეედრება ამ პროგრამას“ (ამერიკული „კარენტ სისტორი“ 1930 წ. ივნისი).

და კაპიტალისტურ სამყაროს მთელი რიგი უფრალისტები და სახელმწიფო-პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც წინად თუ დაცინვით არა ყოველშემთხვევაში მტრად კრიტიკულად უყურებდნენ ხუთწლიან გეგმას, ფაქტების ზეგავლენით, ხუთწლიანი გეგმის გიგანტური წარმატების ზეგავლენით იძულებული გახდნენ შეეცვალათ თავიანთი აზრი ხუთწლიან, ელიტარებათ, რომ ის არ აზრის რეალური და წარმატებით ხორციელდება:

„ძველი საზოგადოების გარდაქმნა! რა შეიძლება იყოს უფრო მიმზიდველი ფარტო შეხედულების მქონე ძლიერი ადამიანებისათვის, რომლებმაც გადასწყვიტეს განთავისუფლებათ ხუცების, თავადების და მეფეების მსხვერპლნი“ ამ ამოცანას ხელი მოჰკიდეს ბოლშევიკურმა ბელადებმა აბსოლუტური სიმტკიცით დისეთი უნარით, გონიერებით და თავდადებით, რომ ეს ხდებოდა რომელიმე სხვა მთავრობის დროს მზის ქვეშ ქვეყნიერება... ალტაცებული იქნებოდა მათი გმირობით და წარმატებით“ („ნიუიენ“, 1929 წ. 13 ნოემბერი).

იძულებული არიან არა მარტო ალიარონ ჩვენი მიღწევები. ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება, არამედ ალიარონ საბჭოთა სისტემის უპირატესობა კაპიტალისტური სისტემის წინაშე, რომელსაც მრავალ ათეულ მილიონისათვის შეუძლია მხოლოდ სიმშვილის და სიღატაკის უზრუნველყოფა:

„ყველგან საბჭოთა კავშირში მე ვიყავი მშენებლობის წარმატებისა მეურნეობის ყველა დარგში, ყველაფერს, რაც მე ვნახე, მე მივყვარ შემდეგ დასვენებულ: იმ დროს, როცა ევროპა იღრჩობა ეკონომიური კრიზისის კლანჭებში, საბჭოთა კავშირი მიდის წინ“ (პოლანდის

ცენტრალურ ს.-დ. გავითის „ხალხი“-ს ორდაქტორის იან მატრისენის განცხადებითან, 1932 წ. ივლისი).

„საბჭოთა მთავრობა ყველა მთავრობებზე უფრო მტკიცეა მსოფლიოში. არავითარ იქვეს არ იწვევს საბჭოთა კავშირის საბოლოო გამარჯვება“.

(სილენი ვებ, 1742 წ. სექტემბერი).

„...მრავალრიცხოვანი ლანძღვა - გინება და დაცინვები ხუთწლიანი გეგმის მიმართ უსაფუძვლო აღმოჩნდა და, მოკლედ, რომ ვთქვათ, შეიძლება ბევრი რამ ითქვას წარმოების, განაწილების და მოხმარების პარამონული ორგანიზაციის იდეის სასარგებლოდ“ („დელირანტის წერილი „ნიუ-იორკ ტაიმს“).

„მე ვყოფილვარ მრავალ ქარხნებში და ყველა ქვეყანებში ყველა ქარხნებში დამარცხდია რაღაც საშინელი გრძობა, რადგან მიგრძენია, რომ მუშები ან უბედური არიან ან უადრესად სასოწარკვეთილი არიან, რომ იგრძნონ თავიანთი ტანჯვა, აქ, მოსკოვში, მუშები მხიარული არიან იმიტომ, რომ წარმოდგენენ სრულფასიან ადამიანებს, ვინაიდან ეს მუშები მუშაობენ არა ქარხნის პატრონისათვის, მათ იციან რომ ქმნიან ახალ ქვეყანას“.

რალა დარჩენილი თეთრგვარდიელებს ხუთწლიანი გეგმის ჩაფლავების იმედების დამარცხების შემდეგ.

მხოლოდ ინტერვენციის გეგმები, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მზადების გეგმები. მათთვის სულ ერთია ვინ დაიწყებს ომს — საფრანგეთი, იაპონია, რუმინეთი, პოლონეთი თუ სხვ. ისინი მზად არიან ემსახურონ ეშმაკსაც და მის ბებიასაც რა საფასურიც არ უნდა მოსთხოვონ მათ „მოსკოვი დაბრუნების“ დაპირების სამაგიეროდ.

მილერები, შატლოვები და სხვ. მრავალი თეთრგვარდიელი გენრლები ოცნებობენ იმაზე, რომ ისინი შესძლებენ თეთრი ცხენით დაბრუნებას რუსეთში, შანამდე კი ცხოვრობენ თავიანთი იმპერიალისტური მხარველობის სუბსიდებით. რანგით უფრო დაბალი ოფიცრობა კი სამშობლოში დაბრუნების მოლოდინში ეწევა შოფერობას, ვაჭრობს ცოლის და ქალიშვილების შესწავლით. ერთი სიტყვით ლეგება და იხრუნება.

და არაიან ასე სიცხადით არ გამოხზატეს ამ გახრწნას და ლობას, როგორც ლიტერატურული ემიგრაცია, როგორც ის „ენათა აღრევა“, რომელიც ემიგრაციის ამ რაზმშია გამეფებული.

მოწოდება პროგრამებისაკენ, ხოცვა-ჟლეტისაკენ, ოცნება დიქტატორზე, წყევა-კრულვა ყოფ. მოკავშირეთა მიმართ, რომლებმაც საბჭოთა კავშირისათვის ომის გამოცხადების ნაცვლად აუჯობინეს მასთან ვაჭრობა, მოწოდება ტერორისაკენ, კოლმეურნეობათა დაწვისაკენ — ერთი სიტყვით ნეგრასტენია და ისტერიკა, დამახასიათებელი

ლი სასოწარკვეთილების უკანასკნელი საზღვართან მიხულ, იმედგაცრუებულ სალხისათვის.

პარიზში ანონიმურად გამოსულ ლექსების ავტორი სწერს, რომ მას, „სტრას, ვაის თემურ-ლენგი, რომ წინააღმდეგობას ეწეობაზე“. ჩვენი მტრები რეგონსელები, საკუთარ სისხლში იცხოვრებდნენ. კველაზე უფრო უმეყოფილოა, „პოეტი“ ფრანგებით: „მე მათ საკუთარი კბილებით გამოიღრინებდნენ“.

„პოეტის ოცნება, იმპერატორი-დიქტატორი, იმპერატორი მკაცრი და საშიში როგორც პეტრე, პავლე და ნიკოლოზი“.

ვინმე გრივოლ ბოსტენი თავის „მეცნიერულ შრომაში“ „ფრანკ-მასონობა და რუსეთის რევოლუცია“ სწერს:

„ჩვენ გვესაჭიროება მეფე ისეთი რკინის ნებისყოფის მქონე, რომელთან შედარებითაც პეტრე და ნიკოლოზ პირველი უბრალო ბეწვები იქნებოდნენ, ეს მეფე სიტყვა „სოციალიზმის“ და „პარტია“-ს ხმარებასაც კი აკრძალავდა.

ჩვენ გვინდა მეფე, რომლის გამოჩენისა ნავე ყველა ლიბეროფები მუხლზე დაეცეოდნენ, ლოკვას დაუწყებდნენ, მის ჩემბებს და მუდარით მოსთხოვდნენ პატიებას.

პარიზში გამოდის უფრალა „ცარსკი ოპორჩნიკი“, რომელიც ოცნებობს „იმ ბედნიერ საათზე, როცა რევოლუციონერი — ბოროტმოქმედნი ჩაეარდებიან ოპორჩნიკების ჯურღმულეებში, როგორც იონან მრისხანის დროს“.

ვილაც ანონიმური მწერალი-ქალი თავის წიგნში, რომელიც პარიზში გამოვიდა „3 ტომის“ სახელწოდებით, წყევა კრულვას თვლის შრომას:

„ქმშარიტი ინტელიგენტი, — სწერს ის — ამგვარინებს სადმე ხიდის ქვეშ დაამთავროს დღეები, ვიდრე იმუშაოს ლუკმა-პურისათვის“.

ამ უკაცრავად სიტყვა „ქმშარიტი-ინტელიგენტს“ ძავს კაცობრიობა:

„მე მძავს კაცობრიობა. რომ შემეძლოს დედაბიწაზე ციანის მუავას ნიაღვარს გადავატარებდი“.

მწერალი ნაუიენი წინადადებას იძლეოდა „გველაცებიათ გორკი როკოვო მძევალი“ „ნაბატი“-ც სადაც ასეთი პატივისცემით სარგებლობდა გორგულაოვი, ოცნებობს სისხლიან წარღვნაზე:

„გვაგავითო ყველაფერი, რაც უნდა გავგვეკეთებია 14 წლის წინ (ე. ი. 1917 წ. ე. მ-მე). გამოუცხადოთ ჯვაროსნული ომი ეშმაკს... სისხლით ავავსოთ ეშმაკის სამზარეულო, გვაშეგებოთ მოფენით მთელი მიწა“.

ასეთია დღეს თეთრი ემიგრაციის იდეოლოგია. ბოლშევიკების დამხობის იმედები არ გამართლდა, უძლური გაბოროტებით ისინი დღეს ოცნებობენ სისხლიან წარღვნაზე.

ხელები მოკლე აქვთ! მათი იმედები და ოცნება დაიფრფლეს სამუდამოთ.

ე. მ-მე



სამ. ანდუნიტი: ამულტორია, საავადმყოფო და რადიო-კვანძი.



15 ოქტომბრის დღეა უჩვეულო იყო ტფილისისათვის. ქალაქის ქუჩებზე გაკრული იყო პლაკატები, ლოზუნგები და სახლებს შორის გადაჭიმული იყო რევოლუციის საყვარელი ფერის არშიები.

— დღეს 15 ოქტომბრის გაიხსნება ტფილისის საკოლმეურნეო ბაზრობა.

— გადამწყვეტი ბრძოლა ვაწარმოოთ გადაწყვეტილებასა და საკულუიანტების წინააღმდეგ.

ამგვარად ლაპარაკობდნენ სახლების კედლებზე გაკრული პლაკატები.

— მსურდალე ბოლშევიკური სალაში ტფილისის საკოლმეურნეო ბაზრობის მონაწილე კოლმეურნეებს და ინდივიდუალურ მშრომელ გლეხებს.

ასე ესალმება ტფილისის პროლეტარიატის ბაზრობის მონაწილე კოლმეურნეებს და ინდივიდუალურ მშრომელ გლეხებს სახლიდან სანდამდე გადაჭიმული წითელი არშია.

ქუჩებში უფრო გაძლიერებული მოძრაობა. ყველანი იჩქარებენ...

- საით ამზანაგო?
- დესიმონოვის ბაზარზე.
- შენ?
- ახალ ბაზარზე;
- მოისმის საუბარი.

... და ყველანი მიდიან. მიდიან... ზოგიერთი ახალ ბაზარზე, ზოგი დესიმონოვის და ზოგიც ავჭალის ბაზარზე მიდიან მხოლოდ ამ სამ ბაზარზე, რადგან აქ იხსნება ტფილისის პირველი საკოლმეურნეო ბაზრობა.

... კოლმეურნეები და ინდივიდუალური მშრომელი გლეხები ჩამსდარან ავტომობილში, ხელში დაუჭერიათ ოქტომბრის დროშა და ათვალიერებენ დედა-ქალაქის ქუჩებს, ზოგიერთი პირველადაა ტფილისში და განსაკუთრებით ხალისიანად ათვალიერებენ დიდ სახლებს, ფაბრიკებს, ქარხნებს. ზოგიერთი კი დიდი ხანია არ ყოფილა ტფილისში და უკვირი ქალაქის ასეთი შეცვლა, ამ მოკლე ხანში.

ამ დილით დრუბლიანი დღე იყო, ყველა ფიქრობდა, რომ საზეიმო დღეს დრუბლები არ შევჭვრიან.

10-ჯერ დარეკა ტფილისის საბჭოს კომსოჭე საათმა... ქუჩები დაისერა, მათ შორის გამოჩნდა ლურჯი ცა და შვსის სხივები შეუმჩნევლად შეიპარა ქალაქის ქუჩებში... აბუკურიალა პლაკატები, წითელი არშიები და დროშები. სინათლე ჩაღვა ქალაქში.

„კომუნისტი“ დაგვიანებით, მაგრამ მაინც 10 საათისათვის მოედო ტფილისის მოახლეობას.

— დღეს იხსნება თბილისის საკოლმეურნეო ბაზრობა.

ასე ელაპარაკება პირველი გვერდის ანშლაგი ტფილისის მშრომელ მოსახლეობას.

— დღეს ტფილისში იხსნება საკოლმეურნეო ბაზრობა— იმეროებს „მეშა“

— გახსენით ფარდულები მოდის სოციალისტური სოფლის დღევანთი.

კომსოჭე მხრული დალუგევი პათოსით ლაპარაკობს „ახალგაზრდა კომუნისტი“.

— Всегрузинская колхозная ярмарка открывается сегодня в Тифлисе.

— Флаг поднят! колхозная ярмарка открыта.


ამბროსი, „ზარია ვოსტოკა“ და „ტიფლისი რაბოჩი“.

გახეთების მთელი გვერდები დათმობილი აქვს საკოლმეურნეო ბაზრობას.

— სად სჯობს წაივდე, რომელ ბაზარზე?

— რა ვიცი! ტფილისი ერთი თვეა ემზადება ამ ბაზრობისათვის, ალბად ყველგან კარგი იქნება...

ახალ ბაზარში შესასვლელი ქიშკარი დროშებითაა მოწყობილი. მეშა და კოლმე-



ამხ. ფ. მახარაძე სიტყვას ამბობს მიტინგზე ახალ ბაზარში

უჩვეურობით ართმევენ ხელს და უტყვიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და სამრეწველო საქონლის შეხვედრა. ამ სახელს დავარქმევდი მე ამ სურათს.

ახალ ბაზარზე ტფილისის პროლეტარებმა კოლმეურნეთ და ინდივიდუალურ მშრომელ გლეხების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სამრეწველო საქონელი შეხვედრეს.

... ბაზრის ცენტრამდე მისვლა გაგიჭირდებათ. ხალხი ძალიან ბევრია. გეგონებთა კინძისთავი, რომ ისროლოთ, ძირს არ დავარდება. ამ პირობებში ძალიან მოხერხებაა, რომ მიაღწიო ბაზრის შუაგულში ამაოჯულ ტრიბუნამდე.

დღეს ახალ ბაზარზე ჩამოსულან გორის, ბორჩალოს და ტფილისის რაიონების კოლმეურნეები და ინდივიდ. მშრომელი გლეხები.

ახალი ბაზარი არ ჰგავს რამდენიმე წლის უკან არსებულ „დეზერტირკა“-ს. გამოიცვალა გარემო, ბაზარი და აღარ სჩანან ისინი, რომლებიც წინად „დეზერტირკა“-ზე გამოდიოდნენ. ამ დღეს საბჭოთა ბაზარზე— ახალ ბაზარზე მოიღდნ სოციალისტურ გზაზე დამდგარი სოფლის მეძროლეები—კოლმეურნეები.

ბაზრის ირგვლივ ერთიმეორეზე ჯაჭვის რგოლებით გადამბულია სხედასხვა სავაჭრო მალაჩები ფარდულები და სხვ. მათ შორის ამაყად გამოიყურებიან სამომხმარებლო და სარეწაო კოოპერაციის რამდენიმე მეტრზე გადაჭიმული ფარდულები. ისინი სისხლის ფერი არშიებითაა შემკული.

— საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია ტფილისის პირველ საკოლმეურნეო ბაზრობაზე—უბნება კოლმეურნეებს რამდენიმე მეტრზე გადაჭიმული წითელი არშია

— მხურვალე სალაში ტფილისის საკოლმეურნეო ბაზრობის მონაწილეთ სარეწაო კოოპერაციის სისტემისგან.

ლაპარაკობს სარეწაო კოოპერაციის ფარდულებზე გაკრული არშიები.

ამათ გარდა ბაზრობაზე გამოსულია „ღარბეკომი“, „ბოეცი“, „ტფილსოფლომრეწვი“, ინვალიდთა კოოპერაცია, „საქმონარაგება გასაღება“, „სამტრესტი“ და სხვ. თვითუღს თავისი საკუთარი მალაჩია აქვს განსნილი და ვაჭრობენ კოლმეურნეთათვის საჭირო საქონლით.

შუაში ერთმეორეგად გამოიცქირებიან „დინამო“-ს და „ანგაქრობა“-ს ფარდულეები. „ანგაქრობა“-ს ფარდულეიდან წითელი არშია მხურვალედ ესალმება საკოლმეურნეო ბაზრობის მონაწილეთ.

მესამე მუკრივზე კიდევ ფარდულებია. პატარა კარგებია და მათგან ნახევარი საუენის მოშორებით ამართულია ტრიბუნა.

პლაკატები, ლოზუნგები და არშიები წითლად ელავს მზეზე.

... წუთი და ისმის სამხერლო ორკესტრის აოჯუნი. ხალხი შეჯგუფდა.

ტრიბუნაზე დგას ამხ. ფილიპე მახარაძე. იქვე არიან: ამხ. გ. სტურუა, პ. წულუკიძე, სავარუებნო რაიონის კოლმეურნეობის წარმომადგენელი ბარდიაშვილი, ტფილისის ტრამეის მუშების წარმომადგენელი კიანაველიძე, ინდივიდუალურ მშრომელ გლეხების წარმომადგენელი აბუაშვილი და აგრეთვე სხვა პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციებიდან წარმომადგენელები.

ბაზრობას ხსნის საქ. კოლმეურნეობათა ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. პ. წულუკიძე, რომ შემდეგ ბაზრობის მონაწილეთ პირველი ესალმება ამხ. ფილიპე მახარაძე. კოლმეურნეები და ინდივიდუალური მშრომელი გლეხები მხურვალე ოვაციებით ხვდებიან ამხ. ფილიპეს.

ორკესტრი ასრულებს „ინტერნაციონალს“ და მას ისმენენ ბაზრობის მონაწილე რამდენიმე ასეულეები.

ორატორები ორატორს ცვლიან...

კოლმეურნეთა სახელით გამოდის ამხ. ბარდიაშვილი, რომელიც თავის მოკლე სიტყვაში აღნიშნავს, რომ ეს ბაზრობა კოლმეურნეებს და ქალაქის მუშებს კიდევ უფრო დაახლოვებს. ტრამეის მუშების სახელით კოლმეურნეებს ესალმება ამხ. კიკნაველიძე.

მიტინგი დასასრულს უახლოვდება.. ახალ ბაზარზე საკოლმეურნეო ბაზრობა ოფიციალურად გაიხსნა.

* * *

რაიონებიდან ჩამოსული კოლმეურნეების და ინდივიდუალური მშრომელი გლეხების მიერ ჩამოტანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით სავსეა ბაზარი.

... ყურძენი, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, ერბო, კარაქი, ყვერცხი, ქათამი, ყველი, ხილ-ბოსტნეული ხორცი და სხვ. აი რით არის გავსებული ბაზარი.

კოლმეურნეები ვაჭრობენ. ისინი სწავლობენ საბჭოთა კულტურულ ვაჭრობას.

ბაზარზე გამოსულან მუშა-მომხმარებლებიც.

წინადაც, რამდენიმე წლის უკან... აი აქ „დეზერტირკა“-ზე გამოდიოდნენ გლეხები, გამოდიოდა მუშა მყიდველიც... ვაჭრობდნენ.

დღეს „დეზერტირკა“ აღარ არის. ის მოსპო. განადგურდა და მასზე აღმოცენდა ახალი ბაზარი, სადაც ვაჭრობენ კოლმეურნეები, სოფლის სოციალისტურად გარდაქმნილათვის აქტიურად მებრძოლნი.

— რა ღირს ყველი ამხანაგო?

— კილო 10 მანეთი. უბასულებს ჭრელ-თვალა კოლმეურნე, რომელსაც ყველის გაჩრდა გასაყიდათ გამოუტანია ქათამი, კვერცხი და ხორცი.

— შენ როგორ ყიდი?

— 9 მანეთად.

მუშა-მყიდველი თანდათან ემატება ბაზარს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე თანდათან იკლავს ფასი.

4 მანეთად არ შეიძლება კილო ხორცი? ეუბნება ერთ-ერთი მყიდველი პატარა ფარულზე ფენმორთხმულ ბორჩალოელ კოლმეურნეს, რომელთანაც მოზრდილი რიგია ვაკეთებული.

— წაიღეთ..

ახალი ბაზრის მარჯვენა მხარეზე, სადაც კოლმეურნეთათვის განხილია სასადილო, ხალხს წრე გაუკეთებია, შუაში კი კომპოსტოს და კართოფლის მთა ამართული.

— მშენიერი კართოფლია. რა მიეცი?

— 13 მანეთი.

— იფთა!..

... და მკითხველი ემატება იმ ჯგუფს, რომელიც ახალციხელებისგან ყიდულობს კართოფლს.

— რა ღირს ამხანაგო ყურძენი?

— კილო 3 მან. ამბობს კოლმეურნე.

— რამდენიმე საყენის დამორებით კი ზორჩალოს რაიკოკავშირის გაუხსნია ფარული და მშენიერი ტყილი ყურძენს 1 მ. 50 კაპ. ჰყიდის.

ხალხი აქეთ მოიწევს. გამყიდველები ვეღარ უძლებენ მოზღვავებულ მომხმარებლებს.


სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია საგრძნობლად იაფდება, მყიდველები კი ბაზარს ენატებიან.

— გინ ფიქრობდა, რომ კილო ხორცი 3—4 მანეთი იქნებოდა? ერთმანეთს ეუბნებიან ქალები.

— მართლა, რომ მისწრება საკოლმეურნეო ბაზრობა მუშათა მომხმარებლის გაუმჯობესებისათვის.

— ჩვენთვისაც კარგია ამხანაგო, — შენიშვნა იქვე მდგომ კოლმეურნემ, რომელიც კარაქი და ერბოთი ვაჭრობდა. მართალია რომ კარგია, ჩაერია ლაპარაკში მესამე. თქვენ, თქვენთვის საქირო სამრეწველო საქონელს იძენთ...

ბაზარზე ლაპარაკობდნენ საკოლმეურნეო ვაჭრობის მნიშვნელობაზე, ტფილისის საკოლმეურნეო ბაზრობაზე აფასებდნენ... აღნიშნავენ დღეგატეხებს... და სხვ.



ქვემოთაღმოსავლეთი
ბიზნისი

ტყვარჩელში (აფხაზეთი) — ამიერ-კავკასიის დონხის, რომლის ნახშირის მარაგი უდრის 109 მილიონ ტონას. უკვე მიმდინარე წლის მე-4 კვარტალში ამოღებული იქნება პირველი 60.000 ტონა ნახშირი
სურათზე — სოფ. კვეზანი, ტყვარჩელში მდებარე ქირითადი ბაზა.

ოფე დასასრულს უახლოვდება. ბაზარზე მყიდველები ბევრია. სასოფლო-სამ. პროდუქციაც ბევრია.

ზღვა ხალხში ფეხსულებს გადაწყვიტელებიც. მათ წინააღმდეგ დარაზმულია მთელი ბაზრობა. სასტიკი ბრძოლა გადაწყვიტელების წინააღმდეგ, არც ერთი კილო საქონელი სპეკულიანტებს.

სალამოს 4 საათია... სასოფლო-სამ. პროდუქციას და სამრეწველო საქონელს ახალ ბაზარზე დაემატა გაზ „კომუნისტ“-ს, „მუშა“-ს და „კოლექტივისზაცია“-ს გამსვლელი

რედაქციის ყოველდღიური გამოცემა: „საკოლმეურნეო ბაზრობა“.

სასწრაფოდ მოელო გაზეთი ურმებს, ფარულსებს, სავაჭრო მალაზიებს და სხვ.

— აქეთ, აქეთ! ამხანაგო ჩემთვის არ მოგიცია გაზეთი, მას აძლევენ გაზეთს...

ბაზრობა დასასრულს უახლოვდება.. მყიდველი ნასა მცირდება ახალ ბაზარზე ბნელდება.

ახალ ბაზარზე აციადდენ წითელი, მწვანე და თეთრი ელნათურები.

ბაზარიბის პირველი დღე გათავდა.
პარლო კალანდაძე.

ეკსპერსანსებგა გოლო გოულეს სრუგორგუნეოგან

შრავალი ათეული წლის განმავლობაში სჯეროდათ ბორჯომის რაიონის ს. კიმოთესუბნის მცხოვრებთ, რომ ამ სოფ. ციცაბო კლდეზე, ადამიანისათვის მიუვალ ადგილას კლდეში ჩაშენებული ორსართულიანი შენობა „წმინდანების საცხოვრებელია“. ასე ღრმად სჯეროდა ეს ამ სოფლის 80 წლის მოხუც ქალს ქეთევან სრიკაძესაც რომელმაც წადვერიდან ჩამოსულ მუშათა ექსკურსიას უამბო ყველაფერი, რაც კი უფიც ხალხის ცრუმორწმუნეობას დაუტყვირებია ამ კლდეში ჩაშენებულ სახლთან.

შისი სიტყვით, ამ 55 წლის წინ ვითომდა ამ სახლში თეთრტანსაცმლიანი კაცი დაუნახავთ, რომელიც შემდეგ სადაც გამჭრალა, „ალბათ ანგელოზი იქნებოდაო“ — და ააკიხეს სოფლის დედაბრებმა.

ზოგიერთს სჯეროდა, რომ „თუ ძე ხორციელი“ ამ ციცაბო კლდეზე ასვლას და „წმინდანთა“ ბინის საიდუმლოების გაგებას განიზრახავს, მას ღმერთი კისერს მოსტენდა.

ექსკურსიის მონაწილე ორმა კომკავშირელმა ამხ. ვალიკო ვასაძემ, და სერგო ჭონონელიძემ განიზრახეს ამ ცრუმორწმუნეობის გაფხატვა, დიდის გაჭირვებით მათ მოახერხეს ამ ციცაბო კლდეზე ასვლა და „წმინდანთა“ ბინის დათვალიერება და იქ აღამიანის ძეგლები უნახავთ. ისინი, რასაკვირველია, უკუნებლად დაბრუნდნენ უკან.

ამრიგად მოელო ბოლო ცრუმორწმუნეობას, რომელსაც ათეული წლების განმავლობაში ს. კიმოთეს უბანში ფართო გავრცელება ჰქონდა.


მსტაბე უიზნიაშვილი




სურათზე: მარჯვნიდან მარცხნივ — ეკსკურსიის ხელმძღვანელი ამხ. მ. ბილანიშვილი, ამხ. ვალიკო ვასაძე, კიმოთეს უბნის მცხოვრები მამიკაძე სერიკაძე, ამხ. სურგო ჭონონელიძე და მსტაბე უიზნიაშვილი. ჯვრებით ნაჩვენებია კლდეში ჩაშენებული შენობა

ქავიტალისტურ კვეყნებში

შეუჩივებლად ღმრთობა ეკონომიური კრიზისი. მრავალი ათეული მილ. უმუშევარი. ასეული მილ. სიმშრლე-საბან სანსიკვილოდ არიან განვირქალი. — იწვლება და წართოვდება სიღატაკე, სიმშრლე. — ქავიტალისტურ სა-ყოველთაო კრიზისმა გზა დაუხურა მცენიერებებს, მუშა-ნიკის უმეღომა განვითარებას. — ქავიტალიზმი, უმუშევარ-ციაში, ახალი ომის და ანტი-საბჭოთა ინტერვენციის მხა-ღებებში ეძებს გამოსავალს.



„ალლო, მისტერ, საქმე კარგად მიდის შესა-კეთებლად შოიტანეს „სკოვოროდკა“ (კარი-კატურა გერმანულ სატ. ყურნალ „სიმპლი-ცისიმუს“ იდან)




გერმანიაში შემოღებულია შრომის ბეგარა უმუშევარ ახალგაზრდებისათვის. ბეგარაში გაწვევულთ ეძლევათ მხო-ლოდ „კვება“, მათ აკრ-ძალული აქვთ ყოველ-გვარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობა (გარდა ფაშისტურისა), ცხოვრობენ რკინის ჩარ-ჩოებიან ბარაკებში.

სიდნის (ავსტრალია) პოლიცია აბა-ტიმრებს უმუშევართა დემონსტრაციის მონაწილეთ



ფაშისტების თარეში: გერმანულ ნაციონალ-სოციალისტების მიერ ჯავშნიან ავტომობი-ლად გადაკეთებული საბარგო ავტომობილი კასსელში.

კომკავშირელების დემონსტრაცია ნიუ-იორკში ზანგების დვენის წინააღმდეგ



ფანდი 253



ქართული
ბიბლიოთეკა

